



მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული ბაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

הנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

დამფუძნებელი (ტექნიკური)

15-30 №23-24 (332-333) (5771)

2010

„מנורה“

עיתון יהודי

בגוריה

სემ კონგრესის პრეზიდენტმა გაბრიელ მირილაშვილმა ისრაელის პარლამენტის თავმჯდომარე რეუბენ რივლინი კონგრესის სპეციალური საპატიო მედლით დააჯილდოვა

სემ კონგრესის პრეზიდენტმა გაბრიელ მირილაშვილმა ისრაელის პარლამენტის თავმჯდომარე რეუბენ რივლინი კონგრესის სპეციალური საპატიო მედლით დააჯილდოვა.

შეხვედრა პარლამენტში თავმჯდომარის პირად კანცელარიაში გაიმართა, რომელსაც დაესწრო ხაბადის მთავარი წარმომადგენელი რაბი დავიდ ნახშონი, უკრაინის და კიევის მთავარი რაბი მოშე ასმანი, ქართველ ებრაელთა საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.


შეხვედრის პროცესში გაბრიელ მირილაშვილმა დამსწრე საზოგადოებრიობას კონგრესის უახლოესი სამუშაო გეგმები გააცნო. მადლობა გადაუხადა პარლამენტის თავმჯდომარეს კონგრესის მუშაობისადმი უდიდესი ინტერესის გამოხატვისა და თანადგომისთვის. თავმჯდომარემ საზგასმით აღნიშნა ისრაელში საქართველოდან ამოსულ ებრაელთა წვლილი ისტორიული სამშობლოს აღმშენებლობაში, განსაკუთრებით რელიგიაში. რეუბენ რივლინი მალაღი შეფასება მისცა საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის მუშაობას, რომელმაც შეცვალა ქართველ ებრაელთა იმიჯი ისრაელში.

მერი ავშიკაშვილი

ჟურნალისტი „მენორა“ კორესპონდენტი იმრუსალიში



ბარბაროსული აქტი, სულიბნობა, თუ...



22 დეკემბრის განთიადისას თბილისის ქართველ ებრაელთა სალოცავის წინ მდებარე მემორიალი, რომელიც 2006 წლის ხანუქაში ბადრი პატარკაციშვილმა დადგა, ხელყოფილი იქნა — ხანუქის ბოლო ორი მინანქრის სასანთლე აღარ არის.

ბეით ქნესეთის ვიდუოთვალმა დააფიქსირა ადამიანი, რომელიც აძვრა ხანუქის სასანთლეზე, მოხსნა მინანქრის სასანთლეები და დაახეთქა კიბეს.

ბოროტმოქმედი ცდილობდა მესამე სასანთლის მოხსნას, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერ შესწვდა.

„მენორამ“ სთხოვა ბეით ქნესეთის გამგეობის თავმჯდომარეს თამაზ გორე-

ლამვილს გამოეხატა თავისი დამოკიდებულება ამ ფაქტის მიმართ.

თამაზ გორელაშვილი: არც კი ვიცი, მიჭირს ზუსტად როგორ დავახასიათო ის, რაც მოხდა. ვიდუოთვალმა დააფიქსირა შემდეგი სურათი: ქუჩაში მოდიან მთერალი ადამიანები, ერთი გამოეყო ჯგუფს, აძვრა ხანუქისასთან, დაამსხვრია სასანთლე, ჩამოვიდა და გზა განაგრძეს. რასაკვირველია, საძაგლობა!

მერაბ ჩანჩალაშვილი: ფაქტი აღმამფთოებელია, ეს არ უნდა იყოს რელიგიურ, ან პოლიტიკურ ნივთზე ჩადენილი აქტი, ეს არის სულიბნობის გამოხატობა.

სოსო აჯიაშვილი: ჩვენ ცუდი გაკვეთილები გვახსოვს, 30-იან წლებში ერთმა გიჟმა ექვსი მილიონი ებრაელი იმსვერპლა.

კორნეი ჩუკოვსკის დღიურებში

მოსკოვში გამომცემლობა „სოვრემენნი პისატელმა“ გამოსცა გამოჩენილი რუსი საბავშვო მწერლის — კორნეი ჩუკოვსკის „დღიურები 1930-1969 წლები“.

ნიგნს პირობითად შეიძლება დღიური დაერქვას, რადგან ეს დიდებული მწერალი ვრცლად აღწერს თავისი ცხოვრების ამა თუ იმ პერიოდს.

როცა იგი იგონებს საქართველოში თავის მოგზაურობას (ჯერ ბათუმი, მერე თბილისი) ერთ ასეთ პერიოდს აღწერს: იქ („ზარია ვოსტოკის“ რედაქციაში. რედ.) მე შემატყობინეს, რომ თბილისში იმყოფება პილნიაკი. უკვე დღის ოთხი საათი იყო. აქამდე არც რა მეჭამა, არც გამომეძინა, თავის მისადები ადგილიც კი არ მქონდა. ყველა სასტუმრო გატენილი იყო. მეეტლესა და მეზარგულეს ორმოცდაათ მანეთამდე მივახარჯე, ბარგი ჯერაც სასტუმრო „პალასის“ (ასე მახსოვს) ვესტიბიულში ელაგა. და არც არა იმედი აღარა მქონდა სასტუმროს შოვნისა. გულგატეხილი ნავედი სასტუმრო „ორიანტში“. და ვიკითხე პილნიაკი აქ ხომ არ ცხოვრობს-მეთქი. აქ ცხოვრობს, სამთავრობო ოთახებში. იქით გავემართე. მოზრდილ სასადილო ოთახში დავინახე ათასი ნუგბარით განწყობილი სუფრა. სუფრასთან კი გაბადრული პილნიაკი. მერე გაირკვა, რომ სუფრას ასევე უსხედან: გერცელი ბაზოვი, ქართველი ებრაელი, რომელმაც დაწერა

პიესა ებრაულ კოლმეურნეობაზე, განათლების კომისარიატის ხელოვნების სექტორის გამგე, კრიტიკოსი დუდუჩა-ვა, დრამატურგი ბუხნიკაშვილი ტელ.: 30-20, კინორეჟისორი ლინა ლოლობერიძე, განათლების სახალხო კომისარიატის უფროსის მოადგილე გეგენავა და ევგენია ვლადიმირის ასული პასტერნაკი (პასტერნაკის ყოფილი მეუღლე) და სხვა. სუფრის თავში იჯდა თამადა ტიცინან ტაბიძე, კაცი, რომელიც სათამაოდ გაეჩინა ბუნებას. მან მყისვე წარმოსთქვა მ.ბ.-ის და ჩემი სადღე-გრძელო, შევჩენკოზე დაწერილი ჩემი სტატია, ნიგნიც კი გაიხსენა ჩემი: „ჩეხოვიდან ჩვენს დღეებამდე“.





დასაწყისი იხ. „მ“ №18

მონანიება

ალინ შტაინზალცი

თშუვა, ისევე, როგორც გამჩენის გზებზე მავალი ნები-სმიერი ადამიანი, კვლავ და კვლავ რწმუნდება იმაში, რომ უსასრულოდ შორსაა უზენაესისგან. მხოლოდ უკან მოხედვისას შეუძლია მას გარკვეული წარმოდგენა შეიქმნას განვლილი გზის სიგრძის შესახებ, თავისი წინსვლის ხარისხის შესახებ. მონანიებას არ მოაქვს კმაყოფილება, სულიერი სიმშვიდე; იგი პირიქით, მუდმივად უბიძგებს ახალი სულიერი მუშაობისაკენ. მონანიების ძალა ამ გზაზე სიარულის ნიჭითა და მისწრაფებით განისაზღვრება. როდესაც პასუხი მოდის, ეს მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ ადამიანს აქვს მონანიების უნარი და სწორი გზით მიდის. ამრიგად, მონანიება — არა ერთჯერადი ქმედებაა, არამედ უწყვეტი სულიერი პროცესია, რომელსაც თან ახლავს იმ ყველაფრის უარყოფა, რაც ადრე აქსიომატური ჩანდა, და მისწრაფება ახალი მიზნებისაკენ.

ის, ვინც თეშუბის გზას ადგას, გზის ყოველი მომდევნო მონაკვეთის შემდეგ ახალი გაუთვალისწინებელი მოსახვევის მოულოდნელად გამოჩენისას, გარკვეული აზრით გზააზნეულს ემსგავსება. მათ შორის განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ გზააზნეულს ყოველი ნაბიჯი უფრო და უფრო აშორებს მიზანს, მაშინ, როდესაც ბაალ-თშუვას ყოველი ნაბიჯი გააზრებულია და ადამიანი სწორი მიმართულებით მოძრაობს. იმას კი, ვინც კმაყოფილია თავისი სულიერი მიღწევებით, დარწმუნებულია საკუთარ სრულყოფილებაში, თავისი სულის სამუშაოს დასრულებულად თვლის, იუდაიზმი მიიჩნევს გზიდან გადამცდარად და ჩიხში შესულად. მხოლოდ ისეთ ადამიანზე, რომელსაც გამუდმებით იზიდავს ღვთაებრივი სინათლე, სინათლე, რომელიც ამასთანავე შორეული და მიუწვდომელია, შეიძლება ითქვას, რომ მან მიიღო რაღაც პასუხისმგებარი. მხოლოდ უკან, თავისი წარსულისაკენ მიხედვისას, ადამიანი შეიძლება დარწმუნდეს მის მიერ არჩეული გზის სისწორეში, რაც მას მომავლის რწმენას მოუტანს. გაცნობიერება იმისა, რომ მისი არჩევანი სწორი იყო, ადამიანისათვის თავისთავად ჯილდოს წარმოადგენს; ამავე დროს უბიძგებს მას გააგრძელოს თეშუბის გზით სიარული.

როდესაც მონანიებაზე ლაპარაკობენ, ხშირად ახდენენ ციტირებას „გალობანი გალობათაგან“: „შემიყვანე ჩემი მბრძანებელი, შენ მოსასვენებლემში“ (1:4). ამ სტრიქონის აზრი ასე აიხსნება: ბაალ-თშუვა გარკვეულ ეტაპზე თავს ისე გრძნობს, თითქოს მეფის სასახლეში იმყოფებოდეს; იგი დაეხეტება ერთი დარბაზიდან მეორეში, და ეძებს შეხვედრას მეფესთან. მაგრამ მბრძანებლის სასახლე — სამყაროთა უსასრულო მწყობრია, და რამდენი პალატაც არ უნდა გაიაროს ადამიანი, ყოველთვის დარჩება თავისი ძიების დასაწყისში. მთელი გზა მონანიებისაკენ — ეს არის მთელი ცხოვრების მანძილზე განუწყვეტელი მოძრაობა უზენაესთან შესახვედრად.

თშუვა — არა მხოლოდ ფსიქოლოგიური ფენომენია ინდივიდუალური ცხოვრებაში, არამედ ესაა პროცესი, რომელიც მთელ სამყაროში რეალური ცვლილებების გამოწვევა შეუძლია. ზოგადად, ადამიანის ყოველ მოქმედებას უცილობლად მოსდევს გარკვეული შედეგი, რომლის მნიშვნელობაც შორს გადის იმ უშუალო კონტექსტის ჩარჩოდან, რომელიც იგი შესრულდა. მონანიება — ეს, უპირველეს ყოვლისა, მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვის განწყვეტაა, რომელიც ერთი ცოდვა გარდაუვალად იწვევს მომდევნო ცოდვას. გარდა ამისა, მონანიება არის მცდელობა ადამიანის მიერ თავისი წარსულის შეცვლის ან გამოსწორებისაკენ. ეს კი შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანი მთელ თავის ძალისხმევას მოუხმობს მისთვის ჩვეული ცხოვრების წესის შესაცვლელად. მონანიება — მუდმივად განახლებადი აღმაფრენაა, რომელიც იძლევა მიზეზობრიობისა და შეზღუდულობის ჩარჩოების გარღვევის შესაძლებლობას, რაც დაკავშირებულია როგორც პიროვნების ხასიათთან, ისე გარემომცველ გარემოსთან.

საკუთარი არასრულყოფილებისა და ცოდვილობის შეგრძნება ჯერ კიდევ არაა საკმარისი იმისათვის, რომ ღმრთის მიმართო და საკუთარი ცხოვრების შეცვლა სცადო. მონანიება — ეს რაღაც უფრო მეტია, ვიდრე კეთილი ზრახვები და იმედი; ეს სასონარკვეთაცაა. სწორედ ეს სასონარკვეთა, და როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, მისი გამოწვევი მიზეზი — ცოდვა, აძლევს ადამიანს საშუალებას გადალახოს თავისი წარსული. სასონარკვეთა, რომელსაც იგი წარსულთან კავშირის განწყვეტისაკენ მიჰყავს და სწრაფვა იმ სიმაღლეებისაკენ, რომელიც მიუწვდომელია იმათთვის, ვისი სინდისიც არ არის დამძიმებული ცოდვებით, ანიჭებენ მონანიებელს ძალებს თავისი ბედის მოჩვენებითი გარდაუვალობის გადასალახავად, რასთანაც ზოგჯერ დაკავშირებულია მისი ადრინდელი პიროვნების თითქმის მთლიანი დანგრევა.

და მაინც, მონანიების ეს დონე — მხოლოდ დაწყებითი საფეხურია, რამეთუ მიუხედავად ადამიანის მიერ თავისი წარსულის უარყოფისა, მის მიერ ჩადენილი ცოდვები აგრძელებენ დროში არსებობას; და თუმცა თვითონ იგი შეიცვალა, მის მიერ წარსულში ჩადენილი ქმედებანი მის ცხოვრებაზე ანმყოფი აგრძელებენ გავლენას. ჯერ კიდევ არ არის დამსხვრეული ის მიზეზ-შედეგობრივი ჯაჭვი, რომელიც ასეთი გავლენის შესაძლებლობებს იძლევა. იმისათვის, რათა შეიცვალოს წარსულის მნიშვნელობა ანმყოფათვის, აუცილებელია გადასვლა მონანიების უფრო მაღალ საფეხურზე: ესაა თიკუნი.

თიკუნის პირველ ეტაპზე შეიძლება დავარქვათ „განონასწორება“. რამეთუ ყოველი დანაშაულისათვის, რომელიც ბაალ-თშუვამ წარსულში ჩადინა, იგი ვალდებულია გააკეთოს ბევრად უფრო მეტი, ვიდრე მოეთხოვება უცოდველ ადამიანს. იგი ვალდებულია ხელახლა შექმნას და გარდაქმნას თავისი ცხოვრება, რათა შეცვალოს მასში თანაფარდობა სიკეთესა და ბოროტებას შორის; ამ დროს ხდება არა მხოლოდ მისი აქამინდელი არსებობის გარდაქმნა, არამედ მთელი მისი ბედის სასწორზე სიკეთე იწყებს გადანონვას. მაგრამ მონანიების უმაღლესი საფეხური — ეს არაა მხოლოდ ცუდი საქმეების შედეგების გამოსწორება და ისეთ ქმედებათა ჩადენა, რომლებიც გადანონიან წარსულში ჩადენილ ბოროტებას. თშუვის ყველაზე მაღალი დონე მიიღწევა მაშინ, როდესაც ცოდვები, ჩადენილი წარსულში, არა მხოლოდ დავიწყებას ეძლევიან, არამედ თვითონ მათი არსი, რაობა, გადაშლად და იცვლება იმდენად, რომ როგორც ჩვენი სწავლული ბრძენები ამბობენ, ეს ცოდვები გარდაიქმნებიან დამსახურებებად. ამ შემთხვევაში ადამიანს არა მხოლოდ შესაძლებლობა ეძლევა, რომ თავისი წარსულის ცოდვებიდან სიკეთე ამოხაპოს, არამედ აგრეთვე იმუნიტეტს იძენს ცოდვის მიმართ, რომელიც მას ცოდვასთან შეხებისას იცავს და შესაძლებლობას აძლევს გარდაქმნას იგი დიამეტრალურად სანინააღმდეგო, დადებით არსად, რაობად. ჩადენილი ცოდვის მონანიება გარდაიქმნება სიკეთის ქმნის ვენებიან სურვილში, და ამ მისწრაფებაში გამოვლინდება ადამიანის სულის ღვთაებრივი საწყისი. და რაც უფრო ღრმად იყო ადამიანი ოდესღაც ჩაფლული ბოროტების ქაობში, მით უფრო მეტი სასონარკვეთით სწყურია მის სულს სიკეთე. როდესაც ასეთი მდგომარეობა დგება, როდესაც ბაალ-თშუვა ვეღარ შეიგრძნობს მის მიერ ჩადენილი ცოდვების დამლუპველ გავლენას, ისინი მეტად ვეღარ ეწინააღმდეგებიან მის განვითარებას და ვეღარ ფიჭავენ მის ძალებს; არამედ ეხმარებიან მას ავიდეს სულ უფრო მაღლა და მაღლა. სწორედ ეს არის ჭეშმარიტი თიკუნი.

და ამიტომ, წარსულში ჩადენილი ცოდვის სრული გამოსწორებისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ საკუთარი შეცდომების გაცნობიერება და სინანული მათ შესახებ — ამან ადამიანი შეიძლება აპათიამდე და ღერპეიამდე მიიყვანოს; უფრო მეტიც, ჩადენილი ცოდვების შესახებ მოგონებებმა შეიძლება გააღვიძოს მის სულში მთვლენარე ცუდი მიდრეკილებები ცხოვრების მიმართ. თუმცა, ჭეშმარიტი მონანიებისას, როდესაც თიკუნი სრულდება, ყველა ძალა, რომელიც ადრე ბოროტებას ემსახურებოდა, სინამდის სამსახურში დგება. ეჭვს გარეშეა, იმისათვის, რათა აიძულო პარანოიკული ძალები, რომლებმაც თავის დროზე ადამიანს ბოროტმოქმედებისაკენ უბიძგეს, სიკეთეს ემსახურონ — ძალიან ძნელი ამოცანაა. მაგრამ სულის ფარული შესაძლებლობანი, რომლებიც უცნობია იმისთვის, ვისაც ცოდვები არ ჩაუდენია, ბაალ-თშუვას დასახმარებლად მიემართებიან და იმ ძალად იქცევიან, რომელიც მონადეებულია გამოსწორის სამყარო.

ამიტომ ბაალ-თშუვა არა მხოლოდ უბრალოდ თავის ადგილს პოულობს სამყაროში; მისი მონანიება — ეს არის გამოსწორების აქტი, რომელსაც გლობალური მნიშვნელობა ენიჭება: ადამიანი ათავისუფლებს სინამდის ნაპერწკლებს, რომლებიც ბოროტი ძალების მიერ არიან დატყვევებული. ეს ნაპერწკლები, მისი წყალობით ტყვეობიდან გამოსწორის და ამიერიდან თავის მხსნელთან დაკავშირებულნი, მასთან ერთად მალდებიან და ბნელეთის ძალები სინათლის ძალებად გადაიქცევიან. სწორედ ეს აქვს მხედველობაში თალმუდს, როდესაც ამბობს, რომ იქ, სადაც დგანან ბაალეი-თშუვები, არ შეუძლიათ ყოფნა სრულყოფილ მართლმორწმუნეებას კი. რამეთუ ბაალ-თშუვა ძალაუფლებას იძენს არა მხოლოდ სამყაროსა და მის საკუთარ სულში არსებულ სიკეთის ძალებზე, არამედ ბოროტ ძალებზეც, რომლებსაც იგი წმინდა რაობებად გარდაქმნის.

თარგმანი ეთერ თოფჩიაშვილი-გიბინეიშვილისა

ნიჭიერება მიიმა ტვირთია

ასეთი ტვირთით არც ბევრია დამძიმებული და არც ბევრს შეუძლია მისი ზიდვა.

ჩვენი სასიქადულო იუბილარი ბ-ნი ოთარ სეფიაშვილი განსახიერება იმისა, თუ როგორი ზნეობრივი და ინტელექტუალური ერთობლიობა არსებობს ნიჭსა და მისით დაჯილდოებულ პიროვნებას შორის.

ბ-ნი ოთარის ცხოვრება და შემოქმედება, მისი ფართოდ აღიარებული მონაპოვარი და საზოგადოებრივი რენომე შემოქმედია ავხსნა სამი ფენომენის ერთობლიობით: მრავალგვაროვანი და მრავალნახნაგოვანი მოღვაწეობით, ბიკულტურიზმით და ქართული ენის ოქროს ფონდის მფლობელობით. იუბილარის ნიჭი და შემოქმედებითი პოტენციალი ახალგაზრდობიდანვე გამოვლინდა ჟურნალისტიკის, კინოკრიტიკისა და კინომცოდნეობის სარედაქციო-საგამომცემლო და ტელემაუწყებლობის სფეროში, პუბლიცისტიკაში, განსაკუთრებით ესეისტიკაში და სამწერლო ასპარეზზე.

ასეთი ძლიერი ინტელექტუალური პოტენციალი და მრავალმხრივი შემოქმედებითი ინტერესები ქმნიან იშვიათ ჰარმონიას და წარმოაჩენენ მათ მფლობელს როგორც ერთდროულად, მაღალი რანგის პროფესიონალს, ჭეშმარიტ ჰუმანისტს, უზადო ნიჭის, საკუთარი დახვეწილი აკადემიური სტილისა და თხრობის ორიგინალური მანერის მქონე პიროვნებას.

კინოხელოვნებაზე შექმნილი და დასტამბული 12 ნიგნი, 10 დოკუმენტური ფილმი, კინოსცენარები, აქ გამოქვეყნებული „ხსოვნა“ და ესთერის გრაგნილის ბელეტრიზირებული ინტერპრეტაცია, მრავალი ათეული ესეისტური და პუბლიცისტური სტატია, რომლებიც ყველაზე ავტორიტეტულ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა, იმთავითვე საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების ფაქტად იქცეოდა.

ბ-ნი ოთარი აღიარებულია, როგორც ქართულ-ებრაული და ებრაულ-ქართული კულტურების დრამად მცოდნე, ორივეში პოულობს ისტორიულ და მონათესავე საერთო ნიშნებს, სულიერად აკავშირებს ორ უძველეს ერს, რითაც ჭეშმარიტი დესპანის უკეთილშობილეს მისიას ასრულებს.

ბ-ნი ოთარის ნაფიქრალია და ნააზრვეის გახმიანება ხორციელდება მის მშობლიურ, პოეტურ „ტკბილ-ქართულზე“. ის არა მარტო ფლობს მშვენიერი ენის სიმდიდრესა და საიდუმლოებას, არამედ როგორც მკვლევარი, მწერალი, ფართო დიაპაზონის ხელოვანი ამდიდრებს ქართული ენის ლექსიკას, მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებს და სინტაქსისს. და ესეც აღიარებულია ქართულენოვან სამყაროში. განსაკუთრებულად მინდა გამოვყო ებრაელობის თემა ოთარ სეფიაშვილის ნაყოფიერ შემოქმედებაში, თუმცა ასეთი გამოკვეთილი სათაურით არაფერი არ გამოუქვეყნებია საბჭოთა რეჟიმის პირობებში, როდესაც ებრაელობაზე და ანტისემიტობაზე ლაპარაკი, რბილად რომ ვთქვათ, არ იყო მიღებული.

ფაქტობრივად მეოცე საუკუნის სამოციანი წლებიდან მოყოლებული ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული, მგზნებარე გულით, ნიჭიერებით დაჯილდოებული და მოქალაქეობრივ პოზიციებზე მდგომი ოთარ სეფიაშვილი საკმაოდ თამამად და შეუნიღბავად აშუქებდა ებრაელობის თემას. საკმარისია ნავიკითხოთ ნიგნი პოლემიკური სათაურით „ჩარლი — პატარა ადამიანი? არა, გმირი!“, სადაც მსახიობის ცხოვრების ეპიზოდების და მონოლოგების ინტერპრეტაციისას ეხება საჭირობოროტო თემას და მის ისტორიულ ასპექტებს. მეტად მკაფიოდაა განხილული ებრაელობის თემა ნიგნში „ომი ეკრანზე“ (1975). მასში განაწილებულია უმთავრესად საზღვარგარეთული რეზონანსული პრემიერებული ფილმები, რომლებიც არ იყო დაშვებული საბჭოთა კავშირის ეკრანებზე „იდეოლოგიური მოსაზრებებით“. კინოკრიტიკოსის მიერ გაანალიზებული ფილმები აშუქებს პოლოკოსტის, ებრაელთა საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის თემას, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს უნდა განხორციელებულიყო. და ეს იყო ფილმების დემონსტრირების აკრძალვის მიზეზი.

ნიგნი „ომი ეკრანზე“ გამოქვეყნდა თბილისში, ქართულ ენაზე. ავტორმა მას ორიგინალური სიმბოლიკა მოუნახა სუპერზე აღიბეჭდა დასახვრეტად გამზადებული ებრაელი ქალის პორტრეტი. მან მიიპყრო განსაკუთრებული ყურადღება ქ. მოსკოვში გამართული საერთაშორისო ნიგნის გამოფენა-ბაზრობაზე (1976), სადაც ტირაჟის ძირითადი ნაწილი გაიყიდა და შემდგომშიც ფართო რეზონანსი ჰქონდა. ამ ნიგნის წარმატებამ არა მარტო ებრაელობის თემა გაახმიანა, რამეთუ ანტიფაშისტური მიმართულება

აქვს, არამედ დააფიქრა მკითხველები კაცობრიობის მოსალოდნელ ბედზე. აღარაფერს ვამბობ ნიგნი „ხსოვნის“ შესახებ, რომელიც ფართოდ არის ცნობილი, მხოლოდ ბოლომდე შეცნობილი როდია. თუ როდენ მტკივნეულად, მგზნებარედ, კომპეტენტურად რეაგირებს ბ-ნი ოთარი ანტისემიტურ გამოვლინებაზე პრესაში თუ ხელოვნებაში, გავიხსენოთ ვრცელი სტატია-რეცენზია ამერიკულ რეჟისორ მელ გიბსონის გახმაურებულ ფილმზე „ქრისტეს ვნებანი“. ფილმი აგებულია და გამსჭვალულია ანტისემიტის სულისკვეთებით, ებრაელი ერის მანკიერ, დამახინჯებულ იერ-სახის წარმოდგენით, რასაც ვერც ერთი საღადმოაზროვნე ადამიანი ვერ მოიწონებს. მრავალი საზიზღარი გიბსონისეულ „შედეგებიდან“ შეჩერდები ორ ეპიზოდზე.

დაგას ღვთისმშობელი მარიამი და ხელში უჭირავს შვილი, ჩვილი ბავშვი, რაღაც გაურკვეველი არსება ადამიანი თუ მუტანტი. რაშია საქმე? მარიამი ხომ ებრაელია, და ებრაელს, რეჟისორის აზრით, არ შეუძლია შვას ნორმალური შვილი (!)... დილით ებრაელი ბავშვები აედევნენ გაქცეულ მოციქულ პეტრეს, მომავალ რომის პაპს. ფილმის მსვლელობაში ბავშვები გადაიქცევიან ეშვებიან მგლისმსგავარ ლეკვებად, რომელთაც თითქოსდა სურთ მომავალი პაპის დაგლეჯა, დაფლეთა...

ანალოგიური გიბსონისეული „აღმოჩენები“ მრავლადაა ფილმში და მათ მრავალი გაკიცხვაც დაიმსახურეს. მაგრამ ოთარ სეფიაშვილის რისხვა მიმართულია არა მარტო ანტისემიტური, არამედ ანტიქრისტიანული, ანტიადამიანური, ანტიჰუმანური კონცეფციის მიმართ, რომელსაც ასე აშკარად ქადაგებენ ფილმის შემქმნელები...

...ცნობილია, რომ ბ-ნმა ოთარმა დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. სადიპლომო ნაშრომის დაცვის შედეგად მას მიეცა რეკომენდაცია ასპირანტურაში სწავლის გასაგრძელებლად. კიდევ ჩაირიცხა ასპირანტურაში, ჩააბარა საკანდიდატო მინიმუმის გამოცდები, მაგრამ ბოლომდე არ გაჰყვა მეცნიერების გზას. თუმცა, ყველა მისი ნიგნი განა მეცნიერული კვლევის შედეგი არ არის?

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „აღმა მატერთან“ კავშირი არ შეყვეტილა. უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ის მიიწვია ლექციების წამკითხად ახლად შექმნილ ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტზე. (ანალოგიური მიწვევა თეატრალური ინსტიტუტიდანაც ჰქონდა მიღებული). სწორედ იმდროინდელმა ყოფილმა სტუდენტებმა აღიარეს: „ჩვენ ოთარ სეფიაშვილიდან გამოვდივართ“. ისინი თავად საკმაოდ ცნობილი პიროვნებები არიან: აკადემიკოსი იცხაკ დავიდი, პროფესორი ჯემალ აჯიაშვილი, პროფესორი რუბენ ენოხი. ჟურნალისტიკისა და კინოკრიტიკოსის ოთარ სეფიაშვილის ყოველ პუბლიკაციას წარმატების წილხვედრი ეწერა, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მისი ცხოვრება იავარდით იყო მოფენილი.



მართალია, ის ახერხებდა ყოველგვარი „მოუხერხებელი“ აზრის მოხერხებულად გამოთქმას, მაგრამ ეთიკის, ტაქტის დაცვის წყალობით ღია კონფლიქტამდე საქმე არასოდეს არ მისულა. შემთხვევითი არ იყო, რომ მისი პირველი გასვლა საერთაშორისო კინოფესტივალზე პრეს-ცენტრის აკრედიტებულ ჟურნალისტის სტატუსით იყო, რაც თავისთავად საპატიოა, მაგრამ კინოკრიტიკოსი უკმაყოფილო დარჩა. შემდგომში ო.სეფიაშვილი გვევლინება როგორც საერთაშორისო კინოფორუმების ჟიურის მეტად ავტორიტეტულ წევრად და ნაყოფიერ კინოკრიტიკოსად...

საიუბილეო დღეებში არცთუ იშვიათად ავიწყდებათ მეუღლისათვის სამადლობელი სიტყვა. ბ-ნმა ოთარმა უღრმესი პატივისცემითა და დაფასებით აღნიშნა თავისი ცხოვრების ერთგული თანამგზავრის, განსწავლული, მნივნობარი თანამოაზროვნის პაპისმედოვის უპლიშვილის, დამსახურება ოჯახის კეთილდღეობაში, შვილების აღზრდაში და თავის შემოქმედებით წარმატებებში...

მრავალრიცხოვან გულწრფელ მიღწევებიდან გამაკვირა ერთმა ორიგინალურმა და საესებით დამსახურებულმა: „სააზროვნო კულტურის არისტოკრატია“. მე კი იუბილარის შეფასებას გამოვხატავ დიდი შოთა რუსთაველის სიტყვებით: „სიტყვა-მჭევრო და წყლიანო, ტურფაო, ლამაზ-ენაო, ბროლო ლა ლალო-ორივე კვლა ერთგან შენათხზენაო“. და ბოლოს, ჩემბერ ბევრი ფიქრობს, ბევრი იტყვის:

„გიჭვრეტ თვალითა, გულ-ტკბილად შემხედვართა, ვარდის სანაცვლოთ მოვიდნენ თქვენთანა საუბართა“.

მრავალჯამიერ! მაზალ ტოვ!

მიხეილ შიზიცკი
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
საქართველოს ღირსების ორდენოსანი
გაზეთი „დავითის ფარი“, №164

ისრაელის პროზა

ახად ჰა-ამის დასაფლავება

ბინიამინ თამუზი

შვიდი წლის ვიყავი, როდესაც ახად ჰა-ამი გარდაიცვალა.

სიმართლე გითხრათ, ნამდვილად არ ვიცოდი ვინ იყო ახად ჰა-ამი და არც არაფერი მსმენოდა მის შესახებ. მაგრამ, მალევე შევიტყვე ჩვენს უბანში მდებარე მოლჩიდესკის სასურსათო მაღაზიაში, რომ პოლიციას ის ქუჩა გადაეკეტა, რომელზეც ახად ჰა-ამი ცხოვრობდა. იგი ავად იყო, ხმაურს ვერ იტანდა. ამიტომ, ეტლებს და ავტომობილებს ნებას არ რთავდნენ მისი სახლის სიახლოვეს გაველოთ. ამან ძალიან გამაოცა, დამაფიქრა და მივხვდი, რომ ახად ჰა-ამი ერთ-ერთი ყველაზე პატივცემული კაცი გახლდათ ჩვენს ქალაქში.

ამ ყველაფერმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, თუმცა, ცოტათი გამაღიზიანა კიდევ. დაინტერესდი, რატომ შეიძლება ყოველივე ეს ახად ჰა-ამისათვის და სხვებისთვის არა? ჩემმა მშობლებმა არაფერი იცოდნენ ამის შესახებ, ისინი როგორც ნესი, მხოლოდ რუსულენოვან გაზეთს კითხულობდნენ, რომელიც პარიზიდან მოდიოდა ფოსტით. იქ კი ერთი სიტყვაც არ ენერა ახად ჰა-ამის შესახებ. საბოლოოდ, მშობლებმაც ყველაფერი მოხუცი მოლჩიდესკისგან გაიგეს. ის ვარშავიდან იდი-ურენოვან გაზეთ „ჰეინატ“-ს იღებდა ხოლმე, რომელშიც დანერგული იყო ყველაფერი აღწერილი ახად ჰა-ამზე და ყველა იმ საკითხზე, რაც მასთან იყო დაკავშირებული. აი, ასე გახდა ეს ამბავი ცნობილი ჩვენს უბანში, ყველა ამაზე ლაპარაკობდა.

მოხუცი მოლჩიდესკი არასოდეს მევარებიან, ცოტა მეშინოდა კიდევ მისი. მას ძალიან უცნაური ჩვევები ჰქონდა. მაგალითად, როდესაც კანფეტს გაჩუქებდა, პატივისცემის ნიშნად ისე ძლიერ გიჩქმეტდა ლოყაზე, გეგონებოდა სადაც იყო ხორცი ამოგეგლიჯებოდა. წარმოდგენილი იყო მას რაიმე უფასოდ მოეცა, გარდა ფუჭი საუბრებისა. აი, ლაპარაკი კი, ნამდვილად უყვარდა და ლაყობის დიდი მოტრფიალეც გახლდათ. აქვე მინდა აღვნიშნო ის ფაქტიც, რომ თუ რაიმეს შევეკითხებოდი, ბევრად უფრო დანერგული მპასუხოდა, ვიდრე დედა, რომელიც ყოველთვის მოუცვლელი იყო, ან მამა, რომელსაც არაფერი აინტერესებდა გარდა თავისი პროფესიისა. მე კი სწორედ მისი პროფესია არ მიზიდავდა. ჩემი ფიქრები მხოლოდ ახად ჰა-ამსა და პოლიციას დასტრიალებდა. მამას კი ეს ყოველივე სისულელედ მიჩნდა. ისეა დამრჩენოდა მოლჩიდესკისგან გამეგო ახალი ამბები, რომლებიც „ჰეინატ“-ში იბეჭდებოდა.

თავდაპირველად ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაცია ვრცელდებოდა. წერდნენ, რომ შეუძლოდ იყო და სრული სინყარე სჭირდებოდა. როგორც ზემოთ აღვნიშნე ამას პოლიცია უზრუნველყოფდა. მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ მისი მდგომარეობა გაუარესებულიყო, და როგორც იქნა, სიმართლესაც ფარდა აეხადა. ცნობილი გახდა, რომ ის არა ახად ჰა-ამი, არამედ გინზბერგი გახლდათ. იგი იძულებული გახდა თავისი შეხედულებების გამო შენიღბულიყო ახად ჰა-ამად ქალაქში, რომელშიც ის ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ამიტომ ინგლისში გაიქცა და თავი შეაფარა ჩაის მაღაზიას, ვიდრე ერეც-ისრაელში ჩამოვიდოდა და ბინას დაიდებდა გიმნაზია „ჰერცელია“-ს გვერდით. ჩემი მშობლები მპირდებოდნენ, თუ კარგად ვისწავლიდი და დაწყებით სკოლასაც კარგ ნიშნებზე დავამთავრებდი, გიმნაზია „ჰერცელია“-ში მიმაბარებდნენ სწავლის გასაგრძელებლად. ამიტომ, გიმნაზიის არსებობის შესახებ ჯერ კიდევ მანამდე ვიცოდი, სანამ ახად ჰა-ამის ამბავს გავიგებდი.

მალევე, გაზეთიდან ცნობილი გახდა, ახად ჰა-ამის გარდაცვალების შესახებ.

მოხუცმა მოლჩიდესკიმ გაზეთში დაბეჭდილი ახად ჰა-ამის სურათი მაჩვენა. მინდა გითხრათ, რომ მისმა სურათმა ძალიან გამაოცა. რატომ? ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ადამიანი, რომელიც წერს, განსაკუთრებით კი საშიშ თემებზე, დიდი წერი, ბევრი წერით დაძაბული, გადმოკარკლული თვალები და ბევრი თმა უნდა ჰქონოდა. ვერ გეტყვით რატომ ვფიქრობდი ასე... ახად ჰა-ამს კი, როგორ გითხრათ, სამკუთხა, ზემოთ ფართო და მელოტი, დაბლა კი პატარა და წვეტიანი სახე ჰქონდა. მას შემდეგ, რაც მისი სურათი პირველად ენახე, გამოგიტყდებით, საფუძვლიანად შემეცვალა აზრი მწერლებზე და საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ მათთვის მთავარი ტვინია. ამიტომ ტვინი განვითარებული და დიდია, სახე კი ცოტათი ჩამომხმარი, რადგან იგი მწერლისთვის შედარებით უმნიშვნელოა. ისიც მისწავინა ადამიანების მსგავსად სათვალეს ატარებდა. მისი სათვალის მინებს არც ოქროს ჩარჩო, არც ყურებზე სამაგრი რკალი ჰქონდა. ასეთი სათვალე მამაჩემსაც ეკეთა. მისი მინები ზამბარით იყო შეერთებული, რომელიც ცხვირზე ნითელ ლაქებს ტოვებდა. იგი არ იყო მოსახერხებელი, რადგან მეტისმეტ სიფრთხილეს მოითხოვდა, რომ არ ჩამოგვარდნოდა. თუმცა, შთაბეჭდილებას ნამდვილად ახდენდა.

ფიქრობ, რომ ახად ჰა-ამი არ ინტერესდებოდა ასეთი წვრილმანებით. სურათიდან ჩანდა, რომ მას ბევრი სხვა საზრუნავი ჰქონდა. შეფიქრებელი იყო. მართლაც, მოლჩიდესკი მომიყვანა, რომ ახად ჰა-ამი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში ჩვენი ხალხის ბედზე ზრუნავდა, ცდილობდა მისი ყოველი პრობლემა გადაეჭრა. ამის გამო, ის ძალიან პოპულარული გახდა. ალბათ ამითაც აიხსნებოდა პოლიციის მისდამი ასეთი თბილი დამოკიდებულება.

როგორც კი ახად ჰა-ამის გარდაცვალების შესახებ გახდა ცნობილი, მოლჩიდესკისთან მივრბინე და ვკითხე როდის იყო დასაფლავება. მან კიდევ ერთხელ გადაათვალიერა გაზეთი და მითხრა: — სამშაბათს, სამ საათზე, შუადღის შემდეგ. აუცილებლად უნდა დაესწრობოდი მის დასაფლავებას. ამას ორი მიზეზი ჰქონდა. პირველი, ეს ყველაფერი საინტერესოდ მიმაჩნდა. მეორეც, ამისთვის ბილეთი არ მჭირდებოდა.

სალამოს ჩემს მშობლებს ვუთხარი, რომ დასაფლავებაზე ვაპირებდი წასვლას. მამამ გადმომხედა და მითხრა: სისულელეს ნუ ლაპარაკობ! დედა დამთანხმდა, მაგრამ შემახსენა, რომ ჯერ გაკვეთილები უნდა მომეზადებინა.

სამშაბათს, დაახლოებით ორის ნახევარზე, გიმნაზია „ჰერცელია“-სთან მივედი და იმ სახლის კიბეზე ჩამოვეყევი, რომელშიც ნიგებისა და საკანცელარო საქონლის მაღაზია იყო განთავსებული. ეს მაღაზია ზუსტად ახად ჰა-ამის სახლის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობდა. კიბეზე ჩამომჯდარი ვფიქრობდი, რომ სჯობს ნახევარი საათით ადრე მოხვიდე, ვიდრე ორი საათის დაგვიანებით. მოთმინებით ველოდებოდი და მიკვირდა, რომ ჩემს გარდა ჯერ კიდევ არავინ ჩანდა. რამოდენიმე საათიანი ლოდინის შემდეგ, გადავწყვიტე წავსულიყავი პირდაპირ სასაფლაოზე, ტრუმფლედორის ქუჩაზე.

სასაფლაოზე სამარისებული სიჩუმი სუფევდა. მხოლოდ რამოდენიმე საფლაოედი ისმოდა ქალების ტირილი, რომლებიც თავიანთ მიცვალებულებს დასტიროდნენ, მაგრამ არა ახად ჰა-ამს. მინდოდა მათთვის მეკითხა, მაგრამ თავი შევიკავე, რადგან უცხო ხალხთან საუბარს ყოველთვის თავს ვარიდებდი. ამიტომ გადავწყვიტე ალბანის ქუჩით ისევ უკან დავბრუნებულიყავი იმ იმედით,

რომ პროცესია იქ აუცილებლად ჩავივლიდა და მეც იქვე გზად შევეუერთებოდი. ეჭვარეშა, რაღაც მოხდა და ამიტომაც იგვიანებს დასაფლავება — ამ ფიქრებში გართული მიუყვებოდი გზას.

უკვე ძალიან დაღლილმა გიმნაზია „ჰერცელია“-სთან დაბრუნება გადავწყვიტე. დასასვენებლად ალბანის ქუჩაზე, ზუსტად გეულას ქუჩის მოპირდაპირე მხარეს სკამზე ჩამოვეყევი. იქიდან ვუცქერდი ქვისგან აგებულ სახლს, რომელშიც საპარიკმახერო მდებარეობდა და რომლის ხშირი სტუმარიც მამაჩემი გახლდათ. აქვე მინდა გითხრათ, რომ ამ საპარიკმახეროს მფლობელი ჩემს მშობლებთან ერთად, იმავე გემით ამოვიდა ისრაელში.

ვიჯექი სკამზე და ველოდებოდი, როდის გამოვივლიდა პროცესია, რომ მეც მას გავყოლოდი. შემდეგ ერთად გავუხვევდით მარჯვნივ, ფინსკერის ქუჩაზე და სასაფლაოსკენ გავემართებოდით. ასე, ფიქრებში გართულს ჩამეძინა.

არ ვიცი რამდენ ხანს მეძინა. უცებ ვიგრძენი, რომ ვიღაცამ მხარზე ხელი მორიდებით, ნაზად დამადო და მშვიდად, ყვირილის გარეშე მითხრა: ბიჭუნა, ადექი, ბიჭუნა.

სამინელი წყვილი იყო. ცოტა გრილოდა კიდევ, თუმცა, არ ციოდა. ძლიერ გავიჩიე ჩემს წინ მდგომი ადამიანი, ის არც მოლჩიდესკის მსგავსი მოხუცი და არც ჩემსავით ახალგაზრდა იყო. საშუალო ასაკის იქნებოდა, ასე, თექვსმეტი წლის. მხოლოდ მოგვიანებით გახდა ჩემთვის ცნობილი, რომ ის ოცდასამი წლის ყოფილა. სიმრთლე გითხრათ, თავდაპირველად ამას ვერც კი წარმოვიდგენდი.

მომისმინე, მე აქ ვცხოვრობ, ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, რამოდენიმე საათის წინ დაგინახე, როგორ ჩამოვეყევი სკამზე. უკვე დაღამდა. ვიფიქრე, რომ ჩამეძინა. სახლში ალბათ, უკვე ნერვიულობენ. მოდი, სახლში წავიყვან. სად ცხოვრობ?

წამოვედე თუ არა ვიგრძენი, რომ ფეხი დამუყუებოდა, მაგრამ მაინც ადექი და შევხედე. ვუყურებდი და ჩემთვის ვფიქრობდი: რა კარგი ბიჭი, კარგად საუბრობს და კარგ შთაბეჭდილებასაც ტოვებს. ნამოდგომისას ხელი შემაშველა, მაგრამ ვუთხარი, რომ არ შენუხებულყო, რომ ჩემით მოვიწესრიგებდი თავს. გამოვიტყდებით, ნამდვილად არ მინდოდა იმ დამით მარტო დავბრუნებულიყავი სახლში. რადგან გეულას ქუჩით იარკონის ქუჩამდე უნდა ჩავსულიყავი, რომლის გაყოლითაც ხასან ბეკის მეჩეთამდე მივივლი. არ იფიქროთ, რომ მეშინოდა, არა! უბრალოდ, ასეთ სიბნელეში არ იყო სასიამოვნო მარტო სიარული. იმედი მქონდა, რომ ის მარტო არ გამიშვებდა. მართლაც ასე მოხდა, როდესაც მისგან დაჟინებული შემოთავაზება მივიღე, არც დავფიქრებულვარ, ხელი ჩავჭიდე და ერთად დავეშვით გეულას ქუჩისკენ.

მან პირველად სახელი მკითხა, ყველა მოზრდილი ხომ ასე იქცევა ბავშვის პირველად ნახვისას. ვუთხარი, რომ ალიკუმ მერქვა. მას კი ვიქტორი ერქვა. თავდაპირველად მეოხნა ცრუობდა. შემდეგ კი დავიჯერე იმიტომ, რომ კარგად გავიცანი, მისი მჯეროდა.

ვიქტორს ვუთხარი, რომ შვიდი წლის ვიყავი და დაწყებით სკოლა „გეულა“-ში ვსწავლობდი, ის კი ოცდასამი წლის იყო. სკოლა დამთავრებული ჰქონდა, უკვე მუშაობდა. სამ ენაზე: ებრაულად, რუსულად და ფრანგულად საუბრობდა. თავდაპირველად არც ეს დავიჯერე, საიდან იცოდა მან ეს ენები? მაგრამ ახლა კი ნამდვილად დარწმუნებული ვარ, რომ არ ცრუობდა.

ნელა-ნელა მივუყვებოდი გზას, რადგან ქვიში უბრალოდ შეუძლებელი იყო სწრაფად სიარული. სანდლები ქვიში-

თი მევსებოდა და თავს ძლიერ ვიკავებდი, რომ არ ნაეცეულიყავი. ვიქტორმა ეს შეამჩნია და ჩემი გამხიარულება სცადა, ასეთი ანეკდოტი მომიყვა: ებრაელები ეგვიპტიდან ისრაელამდე სანდლების გარეშე მიდიოდნენ და სწორედ ამიტომ, ამისთვის მათ ოთხმოცი წლის ნაცვლად ორმოცი წელი დასჭირდათ. ორივე გულიანად ვიცინოდით. ეს ისტორია მეც ვიცოდი, მაგრამ ვერ ვხვდებოდი, როგორ შეიძლება მომეყოლა ასე სასაცილოდ.

ჩემს სკოლას ვეკრძოდა რომ ჩავუარეთ, ვიქტორს ვუთხარი, რომ ეს ის სკოლა იყო სადაც ვსწავლობდი. მან თბილად გამიღიმა და მკითხა: ალიკუმ, სწავლა გიყვარს? მე, რა თქმა უნდა, არ დავიბენი და თანხმობის ნიშნად თავი დაუქვნიე. თუმცა ვერ გეტყვით, რომ ეს აბსოლუტური ჭეშმარიტება გახლდათ.

უცებ ვიქტორი შეჩერდა, მომიბრუნდა და მკითხა: ალიკუმ, სკამზე რატომ გეძინა? ვიქტორს ყველაფერი მოუყევი რაც ახად ჰა-ამის შესახებ ვიცოდი. ისიც ვუთხარი, რომ მისი ნადვილი გვარი გინზბერგი იყო და რომ მის დასაფლავებაზე დასწრება მსურდა.

ამ დროს, ვიქტორი წამით შეეყვინა, გაოცებულმა შემომხედა და მითხრა: რა? ალიკუმ, შენ გინდა მითხრა, რომ იმ სკამზე თორმეტი დღე გეძინა?

ალბათ, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რა დამემართებოდა, ეს რომ მოვიმინე. ეს როგორ? ვფიქრობდი ჩემთვის და პასუხს ვერ ვპოულობდი. თორმეტი დღე მეძინა სკამზე და მშობლებმა არც კი იცოდნენ ჩემი ასავალდასავალი? არა, ეს უკვე ნამდვილად მეტისმეტია. მთელი დღის განმავლობაში, ნახევარი საათით მაინც რომ არ შემერბინა სახლში, ჩემი მშობლები ერთ ამბავს დამანევდნენ. ღმერთო, ნეტავ რა ხდება ჩემს თავს, ან სახლში? ღმერთს ვევედრებოდი და თავი სიზმარში მეგონა. როდესაც ეს ყველაფერი გავიაზრე, ვიქტორს ვთხარი აქნა რა ხდებოდა. რატომ მაინცდამაინც თორმეტი დღე ვიქტორმა მიპასუხა, რომ ახად ჰა-ამი ზუსტად თორმეტი დღის წინ გარდაიცვალა თავად კი, დასაფლავებას საკუთარი სახლის ფანჯრიდან ადევნებდა თვალს.

ამის მოსმენა იყო, რომ ვიქტორს მივუბრუნე და ვკითხე: მაშინ რატომ ვფიქრობდი, რომ დასაფლავება დღეს უნდა ყოფილიყო? ვიქტორმა შემომხედა და მისთვის დამახასიათებელი, თბილი ღმილით მიპასუხა. — ჩემო პატარა მეგობარო, ვინ გითხრა, რომ ახად ჰა-ამს დღეს დასაფლავებდნენ? მაშინ კი, მოლჩიდესკიზე, ჩვენს სასურსათო მაღაზიაზე მოუყევი. ვიქტორს გაცივინა: საინტერესოა, ალიკუმ, საიდან მოიტანა ასეთი სისულელე? — გაზეთიდან, ვიქტორ, გაზეთიდან. — და რომელი გაზეთიდან, ალიკუმ? — „ჰეინატი“-დან.

ვიქტორს ჩემი მშობლების შესახებაც მოუყევი. ვუთხარი, რომ ისინი მხოლოდ რუსულ გაზეთს კითხულობდნენ, რომელსაც პარიზიდან იღებდნენ და რომელშიც არაფერს წერდნენ ახად ჰა-ამის შესახებ. აი, „ჰეინატ“-ში კი წერდნენ, თანაც გამუდმებით, ეს გაზეთიც საზღვარგარეთიდან, კერძოდ ვარშავიდან ჩამოჰქონდათ.

ვიქტორმა ისე გადაიხარხარა, გეგონებოდა გაგიჟდა: ალიკუმ, გაზეთები საზღვარგარეთიდან აქ ფოსტით მოდის, ამას კი ორი კვირა მაინც სჭირდება. და გაზეთი, რომელიც ახად ჰა-ამის სურათი ნახე, დაახლოებით, ორი კვირის წინანდელია. თუ გამოითვლი, თორმეტი დღე და ორი კვირა თითქმის ერთი და იგივეა. ვიქტორი ხარხარებდა, მე კი არა. რომ მიხვდა, ეს ჩემთვის ნამდვილად არ იყო სასაცილო, დამამშვიდა: არ იდარდო, ნუ ნაღვლობ, ალიკუმ, რომ არა ეს გაუგებრობა, აბა, როგორ დავემგობრდებოდით?

თამაზ გორელაშვილი: სიასლე სხვადასხვაგვარი



ყოველი კვირის დასასრულს — პარასკევს, თბილისის დიდი ბაზარი ძველთა ხაზი — მთავარი გზა გორელაშვილი ჯაბათის წინაშე გამოდის და საუბრობს იმ საკითხებზე, სიასლესზე, რომელიც ამ ერთი კვირის მანძილზე გაკეთდა, განხორციელდა ან პირიქით, სამომავლოდ იგეგმება.

ეს საკმაოდ კარგი ნაგონებია — ჯაბათის უნდა იცოდეს ზოგადად შექმნილი მდგომარეობის შესახებ. ის, თუ რა ხდება ბაზარზე ძველთა ხაზი, „მეორე“ მიუხედავად გაბასს ამ ნაგონებზე და თვლის, რომ ასეთი გამჭვირვალობა და საკითხების ურთიერთშეთანხმება ნამდვილად გახლავთ წარმატების სანიშნავი.

სწორედ ამის გამო შევეცდით თბილისის დიდი ბაზარი ძველთა ხაზის ბ-ნ თამაზ გორელაშვილს.

მათისა და დღეს ამის დიდ წინსვლას ვხედავთ. გაჩნდა უფრო მეტი ნდობა ერთმანეთის მიმართ და შესაბამისად, სხვადასხვა პრობლემების წინაშე ბევრად მეტი პასუხისმგებლობა.

მეორე პრობლემა — ეს გახლავთ ხელმოკლე ოჯახთა საკითხი. სამწუხაროდ, დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე ეს პრობლემა კვლავაც აქტუალურია. ერთჯერადი დახმარება არ ყოფილა გაჭირვებულებს, მათ ჭირდებათ სტაბილური, თუნდაც ყოველთვიური მხარდაჭერა. სამწუხაროდ, ვიცით, ფინანსების მოზიდვა ამ საკითხთან დაკავშირებით ყოველ პარასკევს, მიხედვით იმის შესახებ, რომ თუკი ვინმეს აქვს საშუალება, გაუზოღოს ხელი იმ დახმარებით 70 ოჯახს, რომელთა მდგომარეობა უკიდურესად დაუჭირია.

ასე რომ სიასლეები სხვადასხვაგვარია, ამ პარასკევს, მაგალითად, იქნება ზოგიერთი მადლობის წერილი, ანუ თუკი ვინმე აკეთებს რაიმე სასიკეთო საქმეს თავისი ხალხისთვის, ამის შესახებ აუცილებლად ვაგვიჩვენებ ჯამათს. ვთვლი, რომ ეს აუცილებელია, მიუხედავად იმისა, რომ ზოგს არ სურს მათზე ისაუბრონ.

— არავისთვის მიგიმართავთ დახმარებისთვის, იმ 70 უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახს ვგულისხმობ, რომელიც თქვენ ასხენთ, ან იქნებ რომელიმე ორგანიზაციამ შეძლოს ამ საკითხის გადაწყვეტა?

— ორგანიზაციებზე ვერ მოგახსენებთ, მაგრამ არიან პიროვნებები, რომლებიც საქართველოში არ ცხოვრობენ და არიან მსგავსი ქველმოქმედებით დაკავებულნი. დახმარებისთვის, შესაძლოა, მივმართოთ საქართველოს გრანტთა მსოფლიო კონგრესს, რადგან მოგვეხსენებათ, აპრილში არის ფესახის დღესასწაული — ევგვიტიდან ებრაელობის გამოსვლა, რომელზეც მიერთებენ მაცას. მაცას ისრაელიდან ვლენიბო, თუმცა, ეს დაკავშირებულია გარკვეული თანხებთან. ჩვენი ძალებით მოგროვებული თანხა, სამწუხაროდ, არ არის საკმარისი მაცის ჩამოსატანად, როგორც ზემოთ აღვნიშნე, შესაძლოა, კონგრესს მივმართოთ და ამასთანავე ავუხსნათ ამ გაჭირვებული 70 ოჯახის მდგომარეობა, იქნებ, რამის გაკეთება შეძლოს.

— როგორც ჩემთვის ცნობილია, თბილისის ბაზარზე თქვენთვის ყოველი ფე-

სახისათვის ცხვებოდა მაცა, თუმცა, რამდენიმე წელია ეს ველარ ხერხდება, რასთან არის ეს დაკავშირებული?

— დიას, სალოცავის ტერიტორიაზე მართლაც მზადდებოდა მაცა, მაგრამ უკვე 10 წელია, რაც არ გამოცხობილა. დანადგარები, რომლებიც ჩვენ გვაქვს, გამოსულია მწყობრიდან, დაზიანებულია, იმდენად, რომ მის შეკეთებას ალბათ, ახლის შექმნა სჯობს. ეს ბევრ პრობლემურ საკითხთან არის დაკავშირებული. პირველ რიგში, ამ შენობის მდგომარეობაა მოსაწესრიგებელი, ასევე მოგვეხსენებათ, მაცის გამოცხობას სჭირდება თავისებური რელიგიური წესების დაცვა, რომელიც შეიძლება დღეს, ამ პირობებში არ მოგვიხერხდეს. აქედან გამომდინარე, უმჯობესია, მისი ჩამოტანა.

— თქვენ აპირებთ ამ, ასე ვთქვათ, ტრადიციის გაგრძელებას და ყოველ პარასკევს ჯამათის წინაშე წარდგომას?

— დიას, რა თქმა უნდა, ამიტომ ჯამათს ვთხოვ, ვითხოვ კიდევ, პირადად ჩემი და გენებავთ გამგეობის წევრების, ნამოქმედართ უკმაყოფილების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ პირდაპირ გამოთქვან თავიანთი აზრი, რათა დროულად შევძლოთ ამა თუ იმ ხარვეზის შესწორება. ჯერჯერობით ასეთი პრეტენზიით არავის მოუმართავს, რაც მძაღვს იმის საშუალებას ვიძლეო, რომ სწორი გზით მივდივართ.

ის, რასაც ჩვენ ყველა ვაკეთებთ, საერთო საქმე გახლავთ, რომელსაც ერთპიროვნული მართვა წარმატებას ვერ მოუტანს.

ლილია ხომეიძე

— ბ-ნ თამაზ, თქვენ ყოველკვირულად აცნობთ ჯამათს ბაზარზე ხერხების გამგეობის მუშაობას, ბაზარზე ხერხების წინაშე არსებულ პრობლემებს. იქნებ, „მეორეს“ მკითხველსაც უამბოთ ამის თაობაზე?

— დიას, ყოველ პარასკევს ამდენი სიასლე არ იქნება მართალია, ამიტომ ძირითადად ჩვენ შიდა საკითხების განხილვა გვიხდება. რასაკვირველია, ხალხმა უნდა იცოდეს რას ვაკეთებთ, როგორ ვაკეთებთ, რადგან თუკი რაიმე არ მოუხერხებათ, დაგვიანებული არ იყოს მათი აზრი.

დღეს ჩვენი საკითხები მეტ-ნაკლებად მოგვარებულია იმ თვალსაზრისით, რომ ჩემი მიზანი, ამას არჩევნების დროსაც ვამბობდი, ძირითადად გახლავთ გაერთიანება ჩვენი ჯა-

გაოცებული ვიდეი, ხმას ვერ ვიღებდი. ან რა უნდა მეთქვა? მაგრამ ვგრძობდი, ისეთი გახარებული ვიყავი, როგორც არასდროს. ამ დროს ვიქტორი მომიბრუნდა და მკითხა: ალიკუმ, გესმის ზღვის ხმა? გალიმებულმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნიე. ეს იმის ნიშანია, რომ ზღვა უკვე ძალიან ახლოა. კიდევ ცოტაც და მარცხნივ გავუხვევთ, იარკონის ქუჩისკენ. ალტაცებული ვიყავი ვიქტორით. ის ძალიან კეთილშობილი ადამიანი იყო. ამიტომაც, ასეთი მეგობრული სიყვარულით განვიმსჭვალე მისდამი და მორიდებით შევეკადრე. ვიქტორ, იცი, ძალიან მინდა, რომ ზღვა შორს იყოს, რადგან შენთან ყოფნა მინდა. მან თავზე ხელი გადამისვა და მითხრა: ალიკუმ, ჩემო პატარა მეგობარო, დრო არა საათის მიხედვით, არამედ მეგობრობის მიხედვით იზომება. მთელი ცხოვრება წინ გვაქვს, რა მოსატანია აქ დრო.

მაშინ მისი არ მესმოდა, ვერ ჩავწვდი შვიდი წლის ბავშვი მის ნათქვამის არსს. ახლა კი ჩემთვის დღესავით ნათელია,

თუ რას გულისხმობდა ვიქტორი მაშინ. მაგრამ, სად არის დღეს ვიქტორი? სამწუხაროდ, არ ვიცი. მას შემდეგ, მე ის აღარ მინახავს!...

მახსოვს, როგორ მივუყვებოდი გზას, ორივე ვლემდით. სირქე კვლავ ვიქტორმა დაარღვია. ალიკუმ, გინდა, ერთ ღამეს სიმღერას გიმღერებ? ჩემს პასუხს არც დალოდებია, ისე წაიღო. სანამ სიმღერას დაასრულებდა შაბათის სანთლებიც დაანთეს. ვუსმენდი ვიქტორს და ამავდროულად ვფიქრობდი. დღეს შაბათია, უკვე სანთლებიც დაანთეს. ვიქტორმა მთხოვა, მეც მემღერა ჩემი საყვარელი სიმღერა, მაგრამ შემრცხვა და ისევ დუმული ვარჩიე. იცი, ალიკუმ, — ვიქტორმა სიმღერა შეწყვიტა — პოეტები ყველაზე დიდი ადამიანები არიან ამ სამყაროში. გაოცებულმა შევხვე: ახად ჰა-ამზე მეტადაც? — რა თქმა უნდა. მისმა პასუხმა ძალიან გამაოცა, თუმცა არ შევეკამათებულვარ.

უცებ დავინახე, რომ უკვე სახლთან ახლოს ვიყავით, რადგან მოღწიდეს-

კის სასურსათო მაღაზიას გვერდით ჩავუარეთ. ვიგრძენი, რომ ტირილი მინდოდა. შეიძლება უცნაურადაც მოგეჩვენება, მაგრამ, ეს სწორედ სიხარულის ცრემლები იყო. ვტიროდი, მაგრამ ვცდილობდი, თავი შეემკვავებინა. არ მინდოდა, ჩემი ცრემლები ვიქტორს დაეხახა. ვიქტორს პროდუქტების მაღაზია დავანახე, მან სიცილით მითხრა: ალიკუმ, ზვალ, დილითვე ვეტყვი მაღაზიის მფლობელს, რომ მისთვის უმჯობესი იქნება ებრაული გაზეთების კითხვა დაიწყოს. შენ კი გადაეცი, რომ ებრაელმა, ებრაულად უნდა ილაპარაკოს.

ვიქტორმა კარამდე ამომაცია და დააკაკუნა. როგორც კი კარი გაიღო, თვალში მეცა მამაჩემის გაბრაზებული სახე. ჩემმა მეგობარმა სიტყვის თქმაც კი ვერ მოასწარო, მამამ ისე მოულოდნელად გამარტყა სილა. დედამ კი გულში ჩამიკრა და ატირდა. ვიქტორი მალევე დაგვემშვიდობა და წავიდა.

სრულებითაც არ ვდარდობდი იმაზე, რაც მოხდა. როგორც კი დედას ხელი-

დან დავუხსლტდი, მაშინვე აივნიკაკენ გავიქეცი. მოაჯირს ზემოთ ავიზიდე და დავინახე როგორ გადიოდა ვიქტორი ჩვენი სახლიდან. ძალა მოვიკრიბე და დაუძახე: ვიქტორ, მე შენ მიყვარხარ. შენ ძალიან კარგი ადამიანი ხარ და უმალ ჩავიმალე მოაჯირის უკან, მას რომ არ დავენახე. რომ დავინახე, ნიკაპი მოაჯირს ჩამოვარტყი და ენითაუწერელი ტკივილი ვიგრძენი. ვგრძობდი როგორ ჩამდიოდა გახეთქილი ბაგეებიდან სისხლი პირში.

დედა და მამა ძალიან შეშინდნენ. ნამომავნიეს. ჭრილობა იოდით დამიმუშავეს და ბინტი დამადეს. მშობლები თავს დამსტრიალებდნენ, მეფერებოდნენ. ამ დროს ჩამეძინა. არა, დადლილი არ ვიყავი, უბრალოდ მინდოდა განვმარტოვებულიყავი. ასე ვთქვათ, კვლავ ვიქტორთან ერთად ვყოფილიყავი.

იმ ღამით ვიქტორი არ დამსიზმრებია. მაგრამ ამის შემდეგ ხშირად მესიზმრებოდა. დღემდე მესიზმრება. დიას, დღემდე!

ივრითიდან თარგმნა ღამით კაკოშვილმა

მთარგმნელის შენიშვნები:

1) ბენიამინ თამუზი (ებრ: **בנמיאן תאמוזי**, ბინიამინ თამუზი) გახლდათ ცნობილი ებრაელი მწერალი და ხელოვანი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ისრაელის კულტურის მრავალი დარგის განვითარებაში, როგორც ნოველისტმა, ჟურნალისტმა, კრიტიკოსმა, მხატვარმა და მოქანდაკემ.

ბენიამინ თამუზი დაიბადა 1919 წლის 11 ივლისს საბჭოთა რუსეთში. ხუთი წლის ასაკში, მშობლებთან ერთად ისრაელში გადადის საცხოვრებლად. იგი თელ-ავივში მდებარე ჰერცელიას ებრაულ და თაქნემონის სკოლაში დადიოდა. ადრეული ასაკიდანვე დაინტერესებული იყო წერით, სკულპტურით და მხატვრობით. ასევე ღრმა ინტერესი გამოიჩინა ხელოვნების ისტორიის მიმართ, რომელიც პარიზის სორბონის უნივერსიტეტში შეისწავლა. ახალგაზრდობაში, კომუნისტურ მოძრაობას შეუერთდა. იყო ასევე ცანაანიტის მოძრაობის წევრი; ყველაზე მეტად მასზე გავლენა მისი მეგობრებიდან და მასწავლებლებიდან, ებრაელმა სკულპტორმა და ხელოვანმა იცხაკ დან-ზიგერმა მოახდინა.

1948 წელს ბ. თამუზი ჰაარეცის (יִרְאֵה; ისრაელში გამოქვეყნებული პოპულარული გაზეთი) სარედაქციო საბჭოს შეუერთდა. თავიდან მან პოპულარული სვეტი, „Zi & Co“ შექმნა. მოგვიანებით კი, ბავშვთა გაზეთ „ჰაარეც შელანუ“-ს რედაქტორობდა. 1965 წლიდან ჰაარეცის ლიტერატურული და კულტურული გაერთიანების წევრი ხდება, სადაც მოღვაწეობდა როგორც ხელოვნების კრიტიკოსი. 1971-1975 წლებში მოღვაწეობდა ლონდონში, ისრაელის საელჩოში კულტურის ატაშედ. 1979-1984 წლებში მიწვეული იყო ოქსფორდის უნივერსიტეტში მწერალის სტატუსით. ბენიამინ თამუზი

გარდაიცვალა 1989 წლის 19 ივლისს, ქალაქ თელ-ავივში.
2) ახად ჰა ამი (ებრ: **אחד חאמי**, ნამდვილი სახელი და გვარი აშერ ცვი პირშ გინსბერგი) დაიბადა 1856 წლის 18 აგვისტოს, რუსეთის იმპერიაში შემავალ უკრაინულ ქალაქ სკვირაში. იყო ცნობილი ებრაელი პუბლიცისტი და ფილოსოფოსი. მისი აზროვნების ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა შუა საუკუნეების ებრაელმა ფილოსოფიამ, განსაკუთრებით მაიმონდმა. 1884 წელს ახად ჰაამი დასახლდა ოდესაში, მალევე ხდებოდა „ჰოვევი ციონ“-ის წევრი, ამავე ორგანიზაციის ხელმძღვანელის, ლეონ პინსკერის გავლენით. ახად ჰაამი ცნობილია აგრეთვე, როგორც კულტურული სიონიზმის დამაარსებელი. ახად ჰაამის აზრით, ყველა ის სულიერი ფასეულობანი, რომელიც იქმნებოდა და იქმნება ებრაელთა სულიერ ცენტრში, გამოკვეთავდა მთელ ებრაელ ხალხს და შეუნარჩუნებდა მას ერთიანობას იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ისინი გაფანტულნი იყვნენ. მართალია, ახად ჰაამის შეხედულებანი, გაცხარებულ კამათს იწვევდა, მაგრამ მაინც ახდენდა გავლენას სიონიზმის ყველა მიმართულებაზე. მისმა ნაწარმოებებმა, სტატიებმა დიდი როლი ითამაშეს ებრაული აზროვნების განვითარებაში, რაც ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად იქცა, ებრაული სახელმწიფოებრიობის აღდგენის საქმეში. პალესტინაში მოგზაურობის შემდეგ, 1908 წელს ახად ჰაამი გადადის ლონდონში, სადაც აგრძელებს საზოგადოებრივ საქმიანობას. 1922 წელს საბოლოოდ დასახლდა პალესტინაში, თელ-ავივში. ახად ჰაამი გარდაიცვალა 1927 წლის 2 იანვარს.
3) იდიშ-ი (ებრ. **ידיד, ידיד**) (გერმ. **jüdisch** ებრაული) აღმოს. და ცენტრ. ევროპის ებრაელთა ენა; წარმოადგენს გერმანული დიალექტების, ებრაული, არამეული და ზოგი სხვა ენის ნარევს; ი-ზე შექმნილია მდიდარი მხატვრული ლიტერატურა.

ნობელის პრემიის ისრაელელი ლაურეატები

ისრაელის სახელმწიფოდ გამოცხადების დღიდან ნობელის პრემია ისრაელის 7 წარმომადგენელს მიენიჭა. ნობელის სახელი ამ პრემიას შვედი გამოგონებლის — ალფრედ ნობელის საპატივსაცემოდ დაერქვა და მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული პრემია გახლავთ. მას ანიჭებენ ყოველწლიურად მნიშვნელოვანი მიღწევებისთვის ფიზიკაში, ქიმიაში, ეკონომიკაში, მედიცინაში, ფიზიოლოგიაში და ლიტერატურაში, ასევე მშვიდობის განმტკიცებისათვის შეტანილი წვლილისთვის. ისრაელის წარმომადგენლები ამ პრემიით თითქმის ყველა ნომინაციაში დაჯილდოვდნენ.

აი, ნობელის პრემიის ისრაელელი ლაურეატების სია:

1966 წელი: შაი აგნონი — ისრაელის პირველი ნობელის ლაურეატი.

1966 წელს შაი აგნონს ნობელის პრემია მიენიჭა ლიტერატურაში. აგნონის წიგნები დაწერილია უბადლო ებრაულზე და უმთავრესად მიძღვნილია ებრაელთა ყოფისადმი. აგნონმა გამოსცა ათეულობით წიგნი, რომლებმაც მსოფლიო აღიარება მოიპოვეს და ბესტსელერებად იქცნენ. მათ შორის არის — „განვლილი დღეები“, „ჩვეულებრივი ისტორია“, „ტომოლ შილშომ“ და სხვა. აგნონმა ნობელის პრემია ებრაელ პოეტ ქალბატონთან — ნელი ზაკსთან ერთად მიიღო.

1978 წელი: მენახემ ბეგინი ნობელის პრემიით დააჯილდოვეს მშვიდობის საქმეში შეტანილი წვლილისთვის. მენახემ ბეგინი, ისრაელის პრემიერ-მინისტრი (პარტია „ლიკუდი“) გახდა პირველი ისრაელელი პოლიტიკოსი, რომელსაც მიენიჭა ნობელის პრემია. მან ეს პრემია ეგვიპტის პრეზიდენტ-ანვარ სადათთან ერთად მიიღო, ისრაელსა და ეგვიპტეს შორის სამშვიდობო შეთანხმებებისათვის.

1994 წელი: იცხაკ რაბინი და შიმონ პერესი ნობელის პრემიით დაჯილდოვდნენ მშვიდობის საქმეში შეტანილი წვლილისთვის.

იცხაკ რაბინი ისრაელის მაშინდელი ყოფილი პრემიერ-მინისტრი და ქვეყნის ამჟამინდელი პრეზიდენტი შიმონ პერესი ნობელის პრემიით ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის საქმეში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვდნენ.

2002 წელი: „ფულში არ არის ბედნიერება“ ეს თეზა პროფესორმა დანიელ კონმანმა დაამტკიცა და იგი არის პირველი ისრაელელი მეცნიერი, რომელმაც ნობელის პრემია, სამეცნიერო მოღვაწეობისთვის მიიღო.

ფსიქოლოგიის პროფესორი დანიელ კონმანი, ნობელის პრემია ეკონომიკაში ამერიკელ ეკონომისტთან — ვერნერ სმიტთან ერთად მიიღო, მისი მეცნიერული კვლევის თემა ფსიქოლოგიისა და

ეკონომიკის მიჯნაზეა და ინფორმაციული შიმშილის პრობლემაში გადაწყვეტილების მიღების საკითხს ეხება.

თავის გამოკვლევებში მან აღმოაჩინა, რომ ძალიან მდიდარი ადამიანები, რომლებსაც ყველაფრის შეძენა შეუძლიათ, რისი შეძენაც ფულის საშუალებით არის შესაძლებელი, არ არიან იმაზე მეტად ბედნიერნი, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანები. გაირკვა, რომ ზემოთ დადგენილი კეთილდღეობის ზღვარის მიუხედავად, ადამიანის ბედნიერება არ არის დამოკიდებული მატერიალურ კეთილდღეობაზე.

2004 წელი: ნობელის პრემია ქიმიაში მიენიჭათ მეცნიერებს ტექნიონიდან — აბრაამ გერშკოსა და აარონ ცეხანოვერს „სიკვდილის მარკერის“ აღმოჩენისთვის.

კონმანის შემდეგ ისრაელელი ნობელის პრემიის ლაურეატები — აბრაამ გერშკო და აარონ ცეხანოვერი ხაიფის ტექნიონიდან (ამერიკელ ირვინ როუზთან ერთობლივად) ქიმიის დარგში ჩატარებული სამუშაოებისთვის გახდნენ. მათ შესძლეს აღმოეჩინათ ე.წ. „სიკვდილის მარკერის“ ცილა, რომელიც წარმოადგენს მოლეკულას, ეს მოლეკულა მაგრდება დეფექტურ ცილებზე, რომელიც მიუთითებს იმაზე, რომ ეს ცილები უნდა იქნას განადგურებული. ადამიანის ორგანიზმი ამ სისტემით იცავს თავს სხვადასხვა ავადმყოფობისგან, რომელიც დაკავშირებულია დეფექტურ ცილებთან. ნობელის დასკვნაში ნათქვამია: „მაშინ როდესაც ეს სისტემა სრულყოფილად არ მუშაობს, ჩვენ ვხდებით ავად. ასეთი დარღვევების დროს საშვილოსნოს ყელის კიბო და კისტოფობროზი არის ტიპური ავადმყოფობა. ამ სამი მეცნიერის მიერ ჩატარებული სამუშაოს წყალობით, ჩნდება ნამუშაოს შექმნის საშუალება, რომელიც ასეთი დაავადებების მკურნალობის პერსპექტივას იძლევა.“

2005 წელი: ისრაელ აუმანის შრომები თამაშების თეორიის შესახებ ეკონომიკის დარგში პრემიით დააჯილდოვეს.

გერშკოსა და ცეხანოვერის მიერ ნობელის პრემიის მიღების ერთი წლის შემდეგ, კიდევ ერთმა ისრაელელმა — ისრაელ (რობერტ) აუმანმა (ტომას შეპლინგთან ერთობლივად) მიიღო პრემია თავისი გამოკვლევებისთვის თამაშების თეორიის დარგში. პრემიის მინიჭების განმარტებაში წერია: „ადამიანის რაციონალურობის უფრო ფართე გაგების მიღწევა — ჩატარებული გამოკვლევების შედეგად ქცევამ, რომელიც ადრე არარაციონალურად ითვლებოდა, ახლა რაციონალური ახსნა მიიღო.“

2009 წელი: პროფესორი ადა იონატი გახდა პირველი ისრაელელი ქალბატონი, რომელსაც



მიენიჭა ნობელის პრემია.

ისრაელელი პროფესორი ადა იონატი გახლავთ მსოფლიოში ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტი სტრუქტურულ ბიოლოგიაში. იგი გახდა პირველი ქალბატონი, რომელსაც მიენიჭა პრემია ქიმიაში, 1964 წლიდან მოყოლებული. ადა იონატის გამოკვლევები ეხება რიბოსომების ფუნქციონირებას. ეს გახლავთ უჯრედის უმთავრესი ორგანოიდი, რომელიც არსებითად „ცილების წარმოების ფაბრიკაა“ და დნკ-ში ჩანერგილი ინფორმაციის ნაკითხვაზე პასუხისმგებელი.


ნობელის პრემიას მხოლოდ ისრაელელები როდი ღებულობენ, ნობელის პრემიის ლაურეატთა შორის 22% ებრაელია.

მსოფლიო დაახლოებით 14 მილიონ ებრაელს ითვლის, ე.ი. დედამიწის მოსახლეობის მხოლოდ 0,002%-ს, იმ ებრაელთა ან მათი შთამომავლობის რიცხვი, რომლებსაც ნობელის პრემია მიენიჭათ (2009 წლამდე) 176 ადამიანს შეადგენს, რაც (მთლიანად დაჯილდოებული 804, ინსტიტუტების გამოკვლევებით) ნობელიანტთა 22%-ს შეადგენს. ეს ასჯერ მეტია იმაზე, ვიდრე ებრაელთა პროცენტი დედამიწის მთლიან მოსახლეობასთან შედარებით.

ებრაელი-ლაურეატების თანაფარდობა სხვადასხვა დარგებში:

- ფიზიოლოგია და მედიცინა: 195 ნობელიანტია, აქედან — 51 ებრაელი ე.ი. 26,1% შეადგენს.
- ფიზიკა: 186 ლაურეატი, 47 ებრაელია 25,3%.
- ეკონომიკა: 64 ლაურეატი, აქედან ებრაელია — 26. ე.ი. 40%.
- ქიმია: 156 ლაურეატი, აქედან 30 ებრაელი, ე.ი. 19,2%.
- ლიტერატურა: 126 ლაურეატი, აქედან 13 ებრაელი, 12,3%.
- მსოფლიოში მშვიდობის საქმეში შეტანილი წვლილი: 97 ლაურეატი, აქედან ებრაელია 9, შეადგენს 9,3%.

თარგმნა ლილია ხომენკო



ბაზეთ „მენორას“ რედაქცია გულისტკივილით აუწყებს თავის მკითხველს, რომ ნიუ-იორკში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ ბარლაიცივალა აღრეულ ფლეუში, თბილისის ჯამაათის კვირვასი წავრი.

ბორის (ბორია) მეგრელიშვილი

რედაქცია თანაბრძობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

რას ვპიტიხ ულობთ ამ კვირაში? რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი არიელ ლეჰინი



მ ე ნ ო რ ა

ეგვიპტეში მთელი ოჯახით ჩასვლამდე იაკობი აგ-ზაენის თავის შვილს იეჰუდას იქ ცოდნის სახლის — იეჰივის დასაარსებლად. იმის მაგივრად, რომ თავისი მემკვიდრეების ფარნასაზე — საარსებო წყაროზე იეჰიროს, პირველი, რაზედაც იაკობი ფიქრობს — ეს ცოდნის სახლია, სულიერი ცხოვრების ადგილი, ადგილი, სადაც მისი შთამომავლები ისწავლიან ებრაულ კანონებს, რათა მათი ერთგულნი დარჩნენ.

და მართლაც, მანამ ეგვიპტეში ჩასულთა პირველი თაობა ცოცხალი იყო, ყველა მამის — იაკობის ტრადიციების ერთგულნი იყვნენ. მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ, როცა იოსები და მისი ყველა ძმა და მათი თაობის ხალხი გარდაიცვალნენ, ებრაელები თანდათანობით ჩამოშორდნენ აბრაჰამის, იცხაკისა და იაკობის ტრადიციებს.

„და განიერცნენ მთელ ეგვიპტეში და გამრავლდნენ ისრაელის შვილები და განაყოფიერდნენ, და მომრავლდნენ და გაძლიერდნენ ძალიან, ძალიან.“

და მომრავლდა ებრაელებში ბანკების მფლობელები, მინისტრები მთავრობაში, პარლამენტის წევრები, და საკუთარი ნიჭისა და მცდელობის წყალობით დაიკავეს ეგვიპტის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი პოსტები.

და რა დაემართა მამათა ტრადიციებს? ისინი თანდათანობით დაიწყეს მიეცემოდა. და სულ უფრო და უფრო ნაკლები მოსწავლეები იყვნენ იეჰივებში, და ავიწყდებოდათ მათი მამის იაკობის თორა, ბრით მილის (წინადაცვეთის) გაკეთებაც ავიწყდებოდათ.

ამით ხომ ისინი სულ უფრო და უფრო მეტად ემსგავსებოდნენ ეგვიპტელებს, ცხოვრობდნენ იმავე ცხოვრებით, ქედს იხრიდნენ იგივე კერპების წინაშე, დადიოდნენ იგივე გასართობ ღონისძიებებზე.

და მაშინ „და დადგა ახალი მეფე ეგვიპტეში“, როცა ებრაელები აღწევნენ ეგვიპტეში საკუთარი ძალის, ძლიერებისა და გავლენის პიკს, მათი ბედის ბორბალი შემოტრიალებას იწყებს და იწყება ებრაელთა შევიწროვება და უბედურებანი. მოდით, დავუბრუნდეთ ებრაელთა ცხოვრებას ეგვიპტეში. მიდრამი მოგვითხრობს, რომ ებრაელებმა ბევრ რამეში უღალატეს მამათა ტრადიციებს, მაგრამ შეინარჩუნეს სამი

რამ: არ შეიცვალეს სახელები, შეინარჩუნეს საკუთარი ენა და ჩაცმის წესი. ის, რომ ხალხმა, რომელსაც იმ დროისათვის ჯერ თორა არ ჰქონდა მიღებული ასიმილირება დაიწყო, ის, რომ მათ ცხოვრების მიზნად აირჩიეს კარიერა, განათლება ან ფული (ის, რაც ხდებოდა საბჭოთა ებრაელების ცხოვრებაში, რომელთაც საკუთარი ნების გარეშე ჩამოართვეს თორის ერთგულად დარჩენის საშუალება), დაივიწყეს მამათა ტრადიციები გასაგებია და ბუნებრივია. გაუგებარი და არაბუნებრივი სხვა რამაა. როგორ შეინარჩუნეს ებრაელებმა სახელები, ენა და ჩაცმის წესი. უფრო მომგებიანი და მოსახერხებელი არ იქნებოდა არ რქმეოდათ მოშე, აბრამი, შიმონი, გამოეცვალათ სახელები. ენის შენარჩუნებაც თითქოს არაფერში სჭირდებოდათ. ვის სჭირდებოდა მოძველებული ენა. მასზე ბებიებს და ბაბუებს უნდა ესაუბრათ. ახალგაზრდებს კი საშუაოსათვის, კარიერისათვის ეგვიპტელების ენა სჭირდებოდათ და სწორედ მის სწავლას დაიწყებდნენ და ეცოდინებოდათ ეგვიპტელებზე უკეთესად. ეგვიპტეში ინგლისური ენის სახელმძღვანელოს ავტორებიც ებრაელები იყვნენ. მაგრამ, მაინც, ჩვენი ბრძენები ამბობენ, რომ ჩვენგან, საბჭოთა ებრაელთა უმრავლესობისაგან, განსხვავებით ეგვიპტის ებრაელებმა საკუთარი წმინდა ენა შეინარჩუნეს. და ამ ენაზე არა მარტო კითხულობდნენ, არამედ ლაპარაკობდნენ და წერდნენ კიდევ.

ტანსაცმელთან მიმართებაში ხომ სრულიად გაუგებარია. წარმოიდგინეთ ეგვიპტურ მიღებაზე მიმავალი ებრაელი ხასიდურ ქუდში, გრძელ და შავ სერთუკში, გამორჩეულ ფეხსაცმელში ცეკვავს და სვამს ეგვიპტელებთან ერთად. განსხვავება ხომ ამჟამად ჩანს, ერთად სვამენ, ცეკვავენ, მაგრამ ტანსაცმელი, სახელები და ენა განსხვავებული აქვთ. რატომ არ სთქვს ებრაელებმა ეგვიპტეში ყველაფერ ამაზე უარი? მათ სახელებს დაირქმევდნენ, ისაუბრებდნენ მხოლოდ მათ ენაზე და მათსავით შეიმოსებოდნენ. რა იყო ამის მიზეზი?

მიზეზი კი იმაშია, რომ ებრაელს, როგორ ძლიერადაც მას ეს არ უნდა სურდეს, არ შეუძლია შეერიოს ეგვიპტელებს და გახდეს ისეთი, როგორც სხვები. „აი, ხალხი სიმარტოვეშია განსახლებული“ — ეს არაებრაელი წინასწარმეტყველის ბილამის სიტყვებია, რომელნიც ებრაელი ხალხის მისამართით წარმოსთქვა. და ეს ყოველი ებრაელის გულშია, იგრძნოს თავი განცალკევებულად. როგორც ალბერტ აინშტაინი ამბობდა „ჩვენ არც უკეთესები ვართ სხვებზე და არც უარესები, ჩვენ უბრალოდ არა ვართ ისეთები, როგორც სხვები (არ ვგავართ სხვებს)“. ამიტომ ებრაელებს ყოფელთვის აქვთ რაღაც ნაპერწკალი, რომელიც არ ქრება მაშინაც კი, როცა კარგავენ თითქმის ყველა ტრადიციას, არ აკეთებენ ბრით მილას, ქედს უხრიან კერპებს, სახელებს, ენასა და ჩაცმულობას ვერ ელევინ. მათ ამის სურვილი ჰქონდათ, მაგრამ ვერ შეძლეს.

მოგვითხრობენ, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა ფაშისტებმა პოლონეთი დაიპყრეს, ერთ-ერთ დასახლებაში ადგილობრივი მაცხოვრებელი დანიშნეს სოფლის მამასახლისად. ეს ადგილობრივი აფთიაქარი იყო, რომელიც საკუთარი სურვილით დათანხმდა ოკუპანტების მომსახურებაზე. სინამდვილეში ეს აფთიაქარი ებრაელი იყო, მაგრამ დიდი ხნის დავიწყებული ჰქონდა ის, რომ ამ ხალხის წარმომადგენელი იყო. მაგრამ ზოგიერთებს ახსოვდათ ეს და დააბეზლეს გერმანელებთან. მათ გამოიძახეს და ჰკითხეს: „შენ ებრაელი ხარ?“ „არა“ — იყო პასუხი — „ვიღაცა მაბრალებს“. „კარგი, ჩვენ ამას შევამოწმებთ“ — უთხრა გერმანელმა

ოფიცერმა. ფაშისტებმა იძულებით მიიყვანეს სინაგოგაში და იძულებითვე გაახსენეს ჰეიხალი (ადგილი, სადაც სეფერ თორებს ინახავენ) და უბრძანეს ერთი სეფერ თორის გამოღება. „ახლა კი თუ არ ხარ ებრაელი, დააგდე ძირს და გათელე ფეხებით“ — უთხრეს ფაშისტებმა. აფთიაქარს ესმოდა, რომ თუ არ შეასრულებდა ბრძანებას, სიკვდილი ელოდა, ხოლო თუ ბრძანებას შეასრულებდა, გადარჩებოდა. მაგრამ მაინც ვერ შეძლო ამის გაკეთება და ის მოკლეს, კურთხეულია ამ წმინდანის სახელი. ებრაელი ებრაელად რჩება.

და მაინც, რა არ გვაქვს ისეთი, როგორც სხვებს? რას ნიშნავს ებრაელი? ალბათ ეს ის ადამიანია, რომელიც ცდილობს სამყაროს უკეთესობისაკენ შეცვლას. ცოტა ხნის წინ ასეთი რამ გავიგე: „ადამიანი, რომელიც მთელ სამყაროზე პასუხისმგებელია“. ამასთან გემარაში წერია (მეგილა, გვერდი 16) — „თუ ებრაელი ეცემა, ეცემა მტვრამდე (ძალიან ძლიერად)“.

ებრაელს წყნარად ცხოვრება არ შეუძლია. წყნარად იმუშაოს, მიიღოს ხელფასი, ჭამოს, სვას და ეძინოს. მას მისი სული არ მისცემს მოსვენებას, ის ეძებს და თუ სიამოვნებას ეძებს, ეძებს სრულს. თუ ეცემა, მაშინაც ბოლომდე და ძლიერად. იქნება ეს ფული, ქალები თუ სხვა რამ, ებრაელი იძირება ვნებათა მორევში. მის სულს მოსვენება არა აქვს და დაუკმაყოფილებლობის გრძნობას — საზღვარი. „ფულის მოყვარული ვერ გაძლება ფულით“. მას სულ უფრო და უფრო ბევრი სურს. მაგრამ ეს მწარე წყალს გავს, ის ხომ წყურვილს არ კლავს. ჩვენ ვხედავთ ხალხს, რომლებმაც თითქოსდა უკვე მიაღწიეს წარმატებას, გაიკეთეს კარიერა, შეიძინეს მილიონები, მილიარდები, უამრავ ხალხს შურს მათი, იგივე სურთ. ბედნიერები არიან ისინი? საუცხოო ვილების, ლიმუზინების და ლიმოლის მიღმა იმალებიან ის სულელები, რომელნიც გრძნობენ სიმწარესა და ავს ამ მიწაზე. რა მიზეზით? რასაც ადამიანები ბედნიერებად სთვლიან მათ ხომ აქვთ? მიზეზი კი ისაა, რომ ბედნიერება ამაში არაა, ამას არ ეძებს ებრაელის სული. ეს მოგვაგონებს მშიერ ადამიანს, რომელიც მდიდრების ქორწინილი მოხვდება და ხედავს საუკეთესო საჭმელს. ის მიდის მაგიდასთან, ივსებს ჯიბეებს საჭმლით და მიდის. ცოტა ხანში ის კვლავ რჩება მშიერი და ისევ საკვების ძებნაშია. ახლა სხვა ქორწილში მიდის და იგივეს იმეორებს, ივსებს ჯიბეებს საკვებით და მიდის და ა. შ. მისი ჯიბეები საესეა, მაგრამ კუჭი — ცარიელი. ბოლოს მას შეხვდება ადამიანი და ეუბნება, სულელო იმ დროს, როცა შენ არ იკვებები, მშიერი რჩები. ის, დრო კი, როცა ჯიბეები საჭმლით გაქვს გამოტენილი, არაფერს გიშველის.

ასევეა ებრაელი. ის დადის ქვეყანაზე, მისი სული კი მშიერია. სული მისგან კეთილ საქმეებს მოითხოვს, თორის შესწავლას და მისი კანონების შესრულებას, ყოველდღიურ ლოცვას, გამჩენის შიშსა და სიყვარულს, ეს ისაა, რაც მას დაანაყრებს, ეს ისაა, რაც ებრაელს ბედნიერად ჰყოფს. ამის მაგივრად კი მას სურს დაანაყროს სული ფულით, საჭმლით, სასმელით? ის ამით ემსგავსება სულელს იგავიდან. სხეული ხომ მხოლოდ სულის ჯიბეა და როცა ის მას საკვებითა და სასმელით ავსებს, ის ავსებს ჯიბეს, სული, როგორც კუჭი კი ცარიელი რჩება. მის სულს ეს ყველაფერი არ სჭირდება. ასეთ ებრაელს ერთად-ერთი რჩევა მინდა მიცე — მოვიდეს თეშუბაზე, დაბრუნდეს გამჩენთან, ილოცოს, ისწავლოს და დაიცვას თორა. ამით ის დაანაყრებს საკუთარ სულს და გაბედნიერდება. ყველაფერი დანარჩენი კი ამოეხრათა ამოეხრათ.



ეპრაული სატელევიზიო სააგენტო გვაცხოვინებს:

ლიხაპრიო იუდაელი ხდება?
გავრცელდა ხმები, რომ ლეონარდო დიკაპრიო იუდა-იზმის მიღებაზე ფიქრობს მისი ძველი მეგობრის — სუპერ-მოდელი ბარ რაფაელის გამო.
დიკაპრიოს შესაძლო გიური:
— ეს ნიშანია იმისა, რომ პოპულარული ამერიკელი მსახიობი და რაფაელი დაქორწინებას აპირებენ, — ასეთი მოსაზრება დაიბეჭდა 5 დეკემბერს გაზეთმა „Daily Mail“.
— ლეოს მოულოდნელად მძაფრი ინტერესი ისრაელი-სადმი, მისი კულტურისა და რელიგიისადმი არის ამკარა ნიშანი იმისა, რომ მან გადაწყვიტა ბარზე დაქორწინება, — განაცხადა ლონდონის გაზეთის ანონიმურმა წყარომ. ისრაელს დიკაპრიო რაფაელთან ერთად რამდენჯერმე ეწვია, ბოლოს — ნოემბერში. უკვე რამდენიმე თვეა გავრცელდა ხმები, რომ წყვილი დაინიშნა.

რეალ ხასტრო კვანის ებრაელთან ხანუკას ეგება?
კუბის პრეზიდენტმა რეალ კასტრომ კვანის მთავარ სინაგოგაში ხანუკის სანთლები დაანთო. ცერემონიალს სახელმწიფო ტელევიზია გადასცემდა.
ჩვენ წარმოუდგენლად ბედნიერები და ამყენი ვართ, რომ მონაწილეობას ვიღებთ ამ დღესასწაულში თქვენთან ერთად. მე იმედი მაქვს, რომ მეტს გავიგებ კუბის ებრაული თემის შესახებ, შევიტყობ საოცარ ამბებს ებრაულ ერზე — თქვა კასტრომ.
ადელა დორანმა, კუბის ებრაული თემის თავმჯდომარემ კასტროს ხუმაში, თორის ხუთწინიანული აჩუქა.
ბეით ქნესეთში კასტრო არახინით გამოცხადდა. ეს გახლდათ ებრაულ თემში ქვეყნის ლიდერის პირველი ვიზიტი, ყოველშემთხვევაში უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე. რაული და მისი ძმა, კუბის ყოფილი პრეზიდენტი — ფიდელ კასტრო ბოლო თვეებში ამკარად უფრო მეტად უჭერენ მხარს ებრაელებს.

ობამას ადმინისტრაციამ უარი თქვა იმ ტანდემზე, რომელთაც ისრაელს არგენტინა ტარიტორიულ მხარეებზე უნდა დაეშინებინა
„მხარეთა შორის კონსულტაციების შემდეგ ჩვენ გადაწყვიტეთ, რომ მორატორიუმის გაგრძელება მოცემულ მომენტში არ შექმნის მოლაპარაკებებისკენ დასაბრუნებელ უკეთეს საფუძველს,“ — მოყავთ რიგ მედია-წყაროებს ამერიკის ადმინისტრაციის მაღალჩინოსნის სიტყვები, რომელიც მან 7 დეკემბერს წარმოთქვა.
სექტემბრის ბოლოს პალესტინელებმა უარი თქვეს ისრაელთან მოლაპარაკებებზე. ეს მოლაპარაკება რამდენიმე კვირა გრძელდებოდა. მათ მოითხოვეს, რომ ისრაელის პრემიერ-მინისტრს ბინიამინ ნეთანიაჰუს გაეგრძელებინა ტერიტორიებზე მშენებლობის ნაწილობრივ შეჩერება, მისი 10თვიანი ვადის გასვლის შემდეგ.
ობამას ადმინისტრაციამ მოამზადა შემოთავაზებების პაკეტი, რომელსაც უნდა მიეცა ბიძგი ნეთანიაჰუსთვის — გაეგრძელებინა მორატორიუმი. საუბარი მიდიოდა 3 მილიონ დოლარზე, რომელსაც ისრაელი ყოველწლიურად შეერთებული შტატებისგან იღებს.
ნეთანიაჰუმ უარი თქვა ამ წინადადებაზე და მოითხო-

ვა მასში ცვლილებების შეტანა, კერძოდ აშშ-ს თანხმობა იმაზე, თუ რას ააშენებს ისრაელი აღმოსავლეთ იერუსალიმში.

ახლა არ არის ნათელი, რჩება თუ არა ძალაში ამერიკის შემოთავაზება, რომელიც ითვალისწინებს 20 ყველაზე თანამედროვე გამანადგურებელს. ჩინოვნიკმა თქვა, რომ უახლოეს პერიოდში მოლაპარაკების მაგიდასთან დაბრუნება არ მოხდება.

„ჩვენ, რა თქმა უნდა, იმედი გვაქვს, რომ მოვახერხებთ მხარეების მოლაპარაკებების მაგიდასთან დასმას, მაგრამ სანამ ეს მომხდარა, ვაგრძელებთ მუშაობას თითოეულ მხარესთან პერსონალურად,“ უამბო ჩინოვნიკმა ჟურნალ „პოლიტიკოსს“.

ნეთანიაჰუ და პარუსა უცხოელი მაშველები ქაროვნად დააფასეს

ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა და პრემიერ-მინისტრმა ბინიამინ ნეთანიაჰუმ გამართეს საზეიმო ცერემონიალი იმ უცხოელი მაშველების და მებანძრეების საპატივსაცემოდ, რომლებიც აქტიურად ეხმარებოდნენ კარმიელის ტყეში ხანძრის ჩაქრობას.

ამ ცერემონიაზე იერუსალიმში პრეზიდენტის რეზიდენციაში ისრაელის ლიდერებმა სიგელები და ჯილდოები გადასცეს თითოეული უცხოელი გუნდის მეთაურს, მადლობის ნიშნად ხანძრის ლიკვიდაციაში მათი ძალისხმევისა და დახმარებისათვის.

ცერემონიალი მონაწილეობა მიიღო დელეგაციების 300-მდე წევრმა, მებანძრეების, პილოტების, საგანგებო სიტუაციაში ექსპერტების და 10 ქვეყნიდან ელჩების ჩათვლით. ეს იყო დელეგაციები: აზერბაიჯანიდან, ბულგარეთიდან, ხორვატიიდან, კვიპროსიდან, ეგვიპტიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან, საბერძნეთიდან, პოლანდიიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან, შვეიცარიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, შეერთებული შტატებიდან, რუსეთიდან, იორდანიადან, თურქეთიდან და პალესტინის ავტონომიიდან, — იტყობინება პრეზიდენტის ოფისი.

მადლობას გიხდით თქვენი მისიისთვის, რომელიც არ არის დაკავშირებული არც დიპლომატიურ, არც საერთაშორისო ურთიერთობებთან, არამედ გახლავთ ადამიანური პასუხისმგებლობის უმაღლესი ფორმა, — განუცხადა პერესმა ცერემონიალის მონაწილეებს.

თქვენს ერთგულებას და მეგობრობას ისრაელის ხალხი — უძველესი ერი კარგი მეხსიერებით, არასოდეს დაივიწყებს იმას, თუ რა გააკეთეთ ჩვენთვის.

ქრისტოს იოკონომუ, საბერძნეთის სამაშველო გუნდის მეთაური, რომელიც 70 კაცისაგან შედგებოდა, ყველა უცხოური სამაშველო გუნდის სახელით გამოვიდა:

„იმათი სახელით, ვინც მონაწილეობას იღებდა კარმიელის მთაზე უკანასკნელი რამდენიმე დღის მანძილზე ხანძართან ბრძოლაში, ყველას სახელით მინდა თანაგრძობა გამოუცხადო დალუპულთა ოჯახებს და პატივი მივაგო მათ სხონას. ამჟამად მინდა გამოვხატო ჩვენი ღრმა კმაყოფილება და სიამაყე იმის გამო, რომ ჩვენ შევძელით დაგხმარებოდით ჩვენ ებრაელ კოლეგებს გამძინვარებულ ხანძართან ბრძოლაში. ნამდვილ მეგობრებს გაჭირვების დროს ცნობენ. ჩვენ თქვენი მეგობრები ვართ და ყველანაირად ვეცადეთ დაგხმარებოდით“.

ბიბი დაგმო რაბინების ანკაღვას არაბრაულებს საცხოვრებლის გაცემის თაობაზე

პრემიერ-მინისტრმა ბინიამინ ნეთანიაჰუმ დაგმო ისრაელის ასეულობით მთავარი მუნიციპალური რაბინების დადგენილება, რომელიც კრძალავს არაბრაულებისათვის და განსაკუთრებით არაბებისათვის საცხოვრებლის მიქირავებას.

ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ ეს დადგენილება, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის 7 დეკემბერს გახდა ცნობილი, არ შეესაბამება დემოკრატიულ ღირებულებებს.

ეს დადგენილება გამოვიდა ორი თვის შემდეგ მას მერე, რაც ცფათის წამყვანმა რაბინებმა ხელი მოაწერეს ქალაქის მთავარი რაბინის მიერ შედგენილ წერილს, რომელიც მოუწოდებს ებრაელებს არ მიაქირონ ბინები არაბრაულებს ისრაელის ამ ჩრდილოეთ ქალაქში. ხოლო 1 თვის წინათ ქ. ბნეი ბრაკის ულტრაორთოდოქსულმა რაბინებმა გამოაქვეყნეს. რელიგიური დადგენილება, რომელიც კრძალავს აფრიკელი ლტოლვილებისათვის ბინის მიქირავებას. ცოტა ხნის შემდეგ ანალოგიური აკრძალვა იქნა გამოქვეყნებული სამხრეთ თელავივთან დაკავშირებით.

„როგორ იგრძნობთ თავს, ვინმემ რომ თქვას — არ მიჰყიდოთ სახლები ებრაელებს? — ნეთანიაჰუს სიტყვები მოჰყავს გაზეთ „ჯერუსალიმ პოსტს“, რომელიც მან 7 დეკემბერს ბიბლის ცოდნის კონკურსზე თქვა. — ჩვენ ვაცხადებთ პროტესტს და გავაპროტესტებთ კიდევ, როცა ასეთ რამეს ამბობენ ჩვენი მეზობლები. შეუძლებელია ასეთი რამის თქმა ებრაელებზე ან არაბებზე“.

ამ წერილის ხელმოწერეთა შორის ისეთი ქალაქების მთავარი რაბინები, როგორცაა: რამატ-შამრონის აშ-დოდი, კირიათ გათი, რიშონ ლე-ციონი, კარმიელი, შა-დერია, აფულა, ნაჰარია, ჰერცლია, და პარდეს-ხანი. წამყვანმა ნაციონალურ-რელიგიურმა ლიდერმა შლომო ავინერმა ხელი მოაწერა, ასევე რაბინმა იაკობ იოსეფმა, პარტია „შას“-ის სასულიერო ლიდერის ოვადი იოსეფის შვილმა.

ისრაელის სამართალდამცველი ორგანიზაციები და ქნესეთის წევრები აკრიტიკებენ რაბინთა პოზიციას და მოუწოდებენ გაათავისუფლონ ის რაბინები, რომლებმაც ხელი მოაწერეს ამ წერილს. მთავარ მუნიციპალურ რაბინებს ხელფასებს სახელმწიფო უხდის.

ისრაელის სამართალდამცვემა ასოციაციამ გამოაქვეყნა დადგენილება, რომელიც ნეთანიაჰუს მოუწოდებს დაგმოს რაბინების მითითება და მიიღონ გარკვეული ზომები ამ მითითების ხელმოწერეთა წინააღმდეგ.

— წარმოუდგენელია, რომ ისინი თავიანთ საზოგადოებრივ სტატუსს გამოიყენებენ რასიზმის წაქეზების პროპაგანდისათვის.

ორმა ამერიკელმა ებრაელმა ორგანიზაციამ — ანტიდოქტრინალიზმის ლიგამ და ისრაელის ახალმა ფონდმა ჯეროვნად დააფასეს ნეთანიაჰუ იმისათვის, რომ მან დაგმო რაბინების ეს დადგენილება.

აღმაშფოთებელი და მიუღებელია, რომ რაბინები ისრაელის მასშტაბით ეწვიან არაბრაულების ასეთ მკაფიო დისკრიმინაციას, — განაცხადა ანტიდოქტრინალიზმის ლიგამ. ისრაელის ახალმა ფონდმა კი ნეთანიაჰუს მოუწოდა დროებით ჩამოაშოროს რაბინები სამსახურს.

თარგმანა ლიდა ხომენკო

ხანუკა „შალომ სეზამში“

10 დეკემბერს თბილისის ებრაულ სათემო სახლში ებრაული კულტურულ-საგანმანათლებლო ფონდის (დირექტორი ელენე ბერკოვიჩი) საბავშვო პროგრამა — „შალომ სეზამმა“ (ხელმძღვანელი მარიატა ისრაელიანი) ხანუკის დღესასწაული აღნიშნეს.



სადღესასწაულო ზეიმში მონაწილეობდნენ სკოლა-ამდელი ასაკის ბავშვები, რომლებიც ყოველდღიურად დადიან ებრაულ სახლში და დაწყებითი კლასის მოსწავ-

ლები, — „შალომ სეზამის“ მონაწილეები.

ბავშვებმა ქართულ, ინგლისურ და ებრაულ ენებზე წაიკითხეს ლექსები, ისაუბრეს ამ დღესასწაულზე, აანთეს ხანუკის სანთლები, შეასრულეს სიმღერები, იცეკვეს, ასევე გამოვიდნენ „ვოკალის სტუდიის“ (ხელმძღვანელი ვილი გრიგორიანი) ბავშვები, რომლებმაც შეასრულეს სიმღერები „თბილისზე“, „იერუსალიმზე“.

„შალომ სეზამის“ სახანუქე ზეიმში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ბავშვების მშობლები. მოენცო „ხანუკის“ კონკურსი. მათ წარმოადგინეს თავიანთი ხელით შექმნილი სხვადასხვა სახანუქე სუვენირები. გამოვლინდნენ გამარჯვებულები.

შესანიშნავად გახლდათ მორთული დარბაზი, რომელშიც გაიმართა ზეიმი. უამრავი სახანუქე სუვენირები, ბუშტები, ყველაფერი მზიარული და ლალი ამშვენებდა პატარების ზეიმს. შუაში იდგა დიდი სევიფონი, რომელიც 15 წლის წინ აჩუქეს ებრაულ სახლს.

„ცეკვის სტუდიამ“ (ხელმძღვანელი გატუსკინა) წარმოადგინა რამდენიმე საცეკვაო ნომერი. როგორც პროგრამის ბავშვებს, ასევე პატარა სტუმ-



რებს დაურიდდათ სხვადასხვა საჩუქრები. ცოდნისა და ინფორმაციის ცენტრისგან „შალომ სეზამს“ გადაეცა ბისერებით შექმნილი საბავშვო მზიარული სურათები.

ამ მშვენიერ დღესასწაულს, ასევე მშვენიერი მონაწილეები წარმატებით წარუძღვნენ.

ლიდა ხომენკო

დაგფუქსებელი და გამომცემელი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11^ბ, ვახტანგ VI ქ. №30
ტელეფონები: 99.90.96, 77.20.57

რეგისტრირებულია:
ქ. თბილისის მთავრის
რაიონის სასამართლოს
შიპრ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი:
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070
411.16
8-557

9771987898003